

გვადვილს მართვის ეროვნული კოორდინაციის მიმოსიღვა

საბოლოო ანგაიიში



With funding from
 Austrian
Development
Cooperation



ტერმინთა განმარტებები	4
მოკლე შინაარსი	6
გვალვისგან ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები და ძირითადი დაინტერესებული მხარეები	7
ძირითადი დასკვნები	8
შესავალი	9
ეროვნული კონტექსტი – გვალვა და მიწის დეგრადაცია საქართველოში	10
გვალვის განმარტებები	13
რაკინიების მექანიზმები და ძირითადი დაინტერესებული მხარეები	14
გვალვის გლობალური პოლიტიკის ჩარჩო	18
ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო გვალვასთან დაკავშირებით	21
გვალვასთან/მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებული დარგობრივი კანონები და პოლიტიკა	26
გვალვით ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები	26
გვალვასთან არაპირდაპირ დაკავშირებული სექტორები	39
სამართლებრივ/პოლიტიკის დოკუმენტებში ასახული რეაგირების მექანიზმები	43
გვალვის/გვალვის მართვის საკითხთა პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის ბარიერები და გამონაკვეთები	46
საწყისი პუნქტები და რეკომენდაციები პოლიტიკის დაახლოების/ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) პოლიტიკაში ინტეგრაციისთვის გვალვის საკითხებზე	49
გვალვის საკითხების პოლიტიკის და სამართლებრივ დოკუმენტებში ასახვის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი ზოგადი საწყისი პუნქტები და რეკომენდაციები პოლიტიკის დაახლოებისა და გვალვასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვაზე:	49
ძირითადი დაინტერესებული მხარეები, პოლიტიკის გავლენა, პოლიტიკის რეფორმის პროცესები და შესაბამისი ბერკეტები ეროვნული მოქმედებისთვის	52
დასკვნები	53
ბიბლიოგრაფია	54

AA – საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება
ADA – ავსტრიის განვითარების სააგენტო
ADC – ავსტრიის განვითარება თანამშრომლობისთვის
BAU – ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარება
CAP – კლიმატის სამოქმედო გეგმა
CBD – ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია
CC – კლიმატის ცვლილება
CCC – კლიმატის ცვლილების საბჭო
CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CoM – მერების შეთანხმება
CSAP – კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
DRR – კატასტროფის რისკის შემცირება
ES – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
EU – ევროკავშირი
FAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GEF – გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
GEO – ააიპ Georgia’s Environmental Outlook
GHG – სათბურის აირი
GIZ – Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)
GoG – საქართველოს მთავრობა
GSP – გლობალური მხარდაჭერის პროგრამა
IFAD – სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
IIASA – გამოყენებითი სისტემების ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტი
INDC – ეროვნულ დონეზე წინასწარ განსაზღვრული წვლილი
IUCN – ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
KfW – განვითარების ბანკი
LDN – მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსი
TSP – მიზნების განსაზღვრის პროგრამა
NAP – მოქმედებათა ეროვნული პროგრამა

NACRES – ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევითი ცენტრი
NALAG – საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ააიპ)
NBSAP – ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
NbS – ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები
NEHAP – საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა
NEHAP-2 – საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა
NDC – ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
NEAP – გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა
NEA – გარემოს ეროვნული სააგენტო
NFA – ეროვნული სატყეო სააგენტო
RECC – კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (ააიპ)
SLM – მიწის მდგრადი მართვა
SDGs – მდგრადი განვითარების მიზნები
UNCCD – გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ
UNCBD – გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ
UNFCCC – გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია
UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა
WWF – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი
WCDRR – კატასტროფის რისკის შემცირების მსოფლიო კონფერენცია
ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მოკლე შინაარსი¹

გვალვის სიხშირის ზრდა ფიქსირდება მსოფლიოს მასშტაბით. გვალვა არცთუ იშვიათად დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან, ისევე როგორც ამ უკანასკნელის შედეგად გახშირებულ ექსტრემალურ მოვლენებთან. არიდობის გამომწვევი ბუნებრივი ფაქტორები ყოველწლიურად ინტენსიურდება.

ამ მხრივ საქართველოს წინაშეც დგას მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება გვალვას, არიდულობასა და მიწის დეგრადაციას, რასაც ამწვავებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეოხე ეხოვნული პიოგამა (2014-2022) აცნობიერებს ამ რისკებს და ხაზს უსვამს ბუნებრივი კატასტროფების ზრდას, როგორცაა ნიადაგის დეგრადაციითა და ადამიანის საქმიანობით განპირობებული გვალვა. გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩაჩო კონვენციის (UNFCCC) მიმახთ საქართველოს მეოთხე ეხოვნული შეგყობინების თანახმად, კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების, მათ შორის გვალვის, სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში. საქართველოს რელიეფი, მეტეოროლოგიური პირობები და მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედება გარემოზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბუნებრივი კატასტროფების, მათ შორის გვალვის, განვითარებისთვის.

საქართველო აქტიურად ერთვება გვალვასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ჩართულია კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ეხება გაუდაბნობასთან ბრძოლის, წყლის რესურსებისა და მიწის მდგრადი მართვის სტრატეგიებს. თუმცა, გვალვა უშუალოდ არ არის ნახსენები ეროვნულ კანონებსა და პოლიტიკაში. სოფლის მეურნეობის, სატყეო და ტურიზმის სექტორები განსაკუთრებით დაუცველია გვალვის ზემოქმედების მიმართ, რაც ხაზს უსვამს მიზნობრივი სტრატეგიების საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტი გვალვასთან, გაუდაბნობასთან და მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ირიბად განიხილავს, არ არსებობს მკაფიო ზომები, რომლებიც მხოლოდ გვალვის მართვას ეხება.

საქართველოში შეინიშნება გვალვის რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სექტორებზე. გადამწყვეტია

1 კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვებულია 2020 წელს

რეაგირების კოორდინირებული მექანიზმები, რომელშიც უნდა ჩაერთონ ძირითადი დაინტერესებული მხარეები. გვალვის ეფექტური მართვა მოითხოვს გვალვის ტერმინოლოგიურ განსაზღვრას, ზემოქმედების შეფასებას, პოლიტიკაში ნათლად ასახვას, სექტორებს შორის კოორდინაციას, ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა ხელშეწყობას, დაფინანსებისა და ადაპტაციური თუ სარეაგირო ქმედებების გაუმჯობესებას; ამასთან, არსებითია საფუძვლიან კვლევებსა და შეფასებებზე დაფუძნებული პროაქტიური შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რეგიონული მთავრობები, გადამწყვეტ როლს ასრულებენ გვალვის პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამისი რეფორმების გატარებაში. ამ ერთეულების კოორდინირებული მოქმედება აუცილებელი პირობაა გვალვის მრავალმხრივ ზემოქმედებასთან საბრძოლველად.

გვალვისგან ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები და ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გვალვის ზემოქმედება შეიძლება დაჯგუფდეს სამი სხვადასხვა სახის ზეგავლენად – „ეკონომიკური“, „ეკოლოგიური“ და „სოციალური“². ეკონომიკური ზემოქმედების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორად შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობა, რადგან გვალვა ანადგურებს ნათესებს და არასაკმარისი წყალმომარაგების შემთხვევაში საჭიროა დამატებითი სახსრები სარწყავად, ასევე მეტი ხარჯი საქონლის საკვებისა და სასმელი წყლისთვის. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ ფერმერები და ადგილობრივი თემების ის ნაწილი, რომელიც ჩართულია მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. გვალვის ზემოქმედებას განიცდიან ასევე ის სექტორები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სოფლის მეურნეობაზე (მაგ. კვების სექტორი, ფართო საზოგადოება). წყლის რესურსებზე გვალვის ზემოქმედების მიზებით შესაძლოა დაზარალდნენ შესაბამისი სექტორები/დაინტერესებული მხარეები (მაგ., საქართველოს მელიორაცია, წყალმომარაგების კომპანიები, წყალმომხმარებლები, ფართო საზოგადოება). გვალვა გავლენას ახდენს გარემოზე, იწვევს ჰაბიტატების დაზიანებას და ცხოველთა სახეობების საკვები რესურსების შემცირებას; ამ პროცესს, ზოგჯერ, შეუქცევადი ზეგავლენაც ახასიათებს. გვალვამ შეიძლება ასევე იმოქმედოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორზე.

2 <https://drought.unl.edu/Education/DroughtforKids/DroughtEffects.aspx>

ძირითადი დასკვნები

ძირითადი დასკვნები შემდეგია:

- ◆ **ტეხმინი გვადვა საქართველოს კანონმდებლობაში ახ ახის განსაზღვრული.**
- ◆ **გვადვა სათანადოდ ახ ახის ასახული შესაბამის პოლიტიკაში, სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონებში.** ის ასახულია გაუდაბნობის კონტექსტში და მის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში. სამართლებრივი/პოლიტიკის დოკუმენტები ძირითადად მოიცავს რეაგირების ზომებს (პირდაპირ ან ირიბად), რომლებიც მიმართულია გვალვის ზემოქმედების აღმოფხვრისკენ.
- ◆ **პოლიტიკის დოკუმენტებში შემახიბიდებელი ღონისძიებების ნაკლებობა; კიზისის მახტვაში ძიხითადად გამოიყენება ჰეაქტიური ქმედებები (პროაქტიუხის ნაცვდად) სხვადასხვა სექტოხსა და კონკხეტუდ შემთხვევებში.**
- ◆ **გვადვა ახ ახის შეფასებუდი ყვედა შესაბამისი სექტოხის კონტექსტში.** მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორში არსებობს გვალვის ზოგადი შეფასებები.
- ◆ **ახ ახსებობს იუხიდიუდი სუბიექტი, ხომედიც პასუხისმგებელია გვადვის პხევენციის/მახტვის ღონისძიებების მონიგოხინგზე, რომელსაც ახორციელებს და/ან ვალდებულება აქვს ახორციელებდეს გვალვაზე რეაგირების/პრევენციის მექანიზმებში ჩართული სხვადასხვა უწყება.**
- ◆ **ახ ახსებობს საგანგებოდ გვადვის საკითხებზე შექმნიდი პდატფოხმა, ხომედიც კოოხდინაციას გაუწევს ძიხითადა დაინტეხეხებუდ მხახეებს.**
- ◆ **ახ ახსებობს კახგად ჩამოყადიბებუდი ინფოხმაციის ჩახჩო გვადვის შესახებ, ხომედიც უზხუნვედყოფს მონაცემების ხედმისაწვდომობას ეფექტუხი გადაწყვეტილებების მიღებისა და საზოგადოების ინფოხმიხებუდობის/მომზადების მიზნით.** ამ კონტექსტში განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული დაუცველობის შეფასება.
- ◆ **დაფინანსების, ადამიანუხი და ინსტიტუციუხი ხესუხსების ნაკლებობა** პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების და განხორციელების დროს აფერხებს ეფექტურ რეაგირებას შესაბამისი პოლიტიკის გატარებისა და მართვის თვალსაზრისით.
- ◆ **ბუნებაზე დაფუძნებუდი გადაწყვეტილებების (NbS) მნიშვნელობა (განსაკუთხებით, გვადვის შესახებ ბუნებაზე დაფუძნებუდი გადაწყვეტილებებისა (NbS)) ახ ახის ფახთოდ ცნობიდი დაინტეხეხებუდ მხახეთათვის.**

კვლევის შედეგებით შესაძლოა კარგი ბაზისი მომზადდეს სამომავლო ინტერვენციების/ლონისდიებების დასაგეგმად. ამ დოკუმენტის გამოყენება ასევე შეიძლება გვალვაზე სარეაგრო მექანიზმის გასაძლიერებლად; დაბოლოს, მცირე მასშტაბის საპილოტე ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ეკოსისტემების აღდგენას გვალვის/გვალვის სიმკაცრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შესავალი

გვალვა არის ხანგრძლივი პერიოდის, ჩვეულებრივ, სეზონის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში მოსული ნალექების ბუნებრივი შემცირების შედეგი. თუმცა სხვა კლიმატური ფაქტორები, როგორებიცაა მაღალი ტემპერატურა, ძლიერი ქარი და დაბალი ფარდობითი ტენიანობა, გვალვას ხშირად უკავშირდება მსოფლიოს ბევრ რეგიონში და შეიძლება მნიშვნელოვნად გაამწვავოს მოვლენის სიმკაცრე. ნალექების ბუნებრივი კლებისას შესაძლოა წყლის დეფიციტი წარმოიშვას და ვეღარ მოხერხდეს ადამიანის საქმიანობათა უზრუნველყოფა და გარემოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გვალვა რამდენიმე ასპექტით განსხვავდება სხვა ბუნებრივი საფრთხეებისაგან. რადგან გვალვის ზემოქმედების შედეგები თანდათანობით ვლინდება და შესაძლოა მოვლენის დასრულებიდან წლების განმავლობაშიც გაგრძელდეს, რთულია გვალვის დაწყებისა და დასრულების მომენტის დადგენა. ამ მახასიათებლის გამო გვალვას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მცოცავ“, ნელა განვითარებად მოვლენას.

გვალვის სიხშირის გაზრდა ფიქსირდება მსოფლიოს მასშტაბით, ამასთან ერთად, გვალვით გამოწვეული ზარალის 82% სოფლის მეურნეობის სექტორში აღინიშნება, რაც ზემოქმედებს მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებზე. გვალვა ხშირად დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან, ისევე როგორც ამ უკანასკნელის შედეგად გახშირებულ ექსტრემალურ მოვლენებთან. ადამიანის როლი, განსაკუთრებით მიწის არასწორ მართვასა და დეგრადაციაში, ნაკლებად განიხილება. სავარაუდო შეფასებების მიხედვით, გლობალურად, მიწის დეგრადაცია გასული ათწლეულების განმავლობაში აღინიშნა 1-დან 6 მილიარდ ჰექტრამდე (11-66%) მიწის ფართობზე. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიები მოიცავს ყველა აგროეკოლოგიურ სისტემას და მიწის საფარის ტიპებს და, შესაბამისად, მიწის აღდგენით დიდი პოტენციალი ჩნდება გვალვისა და მისი ზემოქმედების გლობალურად შესარბილებლად. მიწის აღდგენას თანასარგებლის მოტანა შეუძლია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, კლიმატის ცვლილების შერბილების, სურსათის უვნებლობისა და ადამიანის ჯანმრთელობის მხრივ. ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტი-

ლებებით (NbS), როგორც მინის აღდგენის მძლავრი საშუალებით, ვიღებთ მასშტაბურ და გრძელვადიან ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სარგებელს. ეს გადაწყვეტილებები მიემართება ბუნებრივი ან მოდიფიცირებული ეკოსისტემების დაცვას, მდგრად მართვასა და აღდგენას, მათ შორის, საზოგადოებრივი გამოწვევების გადაჭრას და, ამავე დროს, ადამიანის კეთილდღეობისა და ბიომრავალფეროვნების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NbS) სულ უფრო მეტად ინტეგრირდება გლობალური პოლიტიკის ჩარჩოებში, გვალვის მართვის პოლიტიკაში მიდგომების უმეტესობა ჯერ კიდევ ძირითადად ფოკუსირებულია რისკების მართვასა და კრიზისების რეაქტიულ მართვაზე.³

ეროვნული კონტექსტი - გვალვა და მინის დებრადანია საქართველოში

საქართველოს გაუდაბნობასთან ბიძობის მოქმედებათა მეოხე ეროვნული პიროგამის (2014-2022) მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი არიდულ და სემიარიდულ ზონაშია მოქცეული, ამის მიუხედავად არიდულობა ნაკლებადაა დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ დგას გვალვებისა და არიდობის პრობლემები. **საქართველო გვალვას მაღალი დონის რისკის ფაქტორად აღიარებს.** როგორც აღნიშნულია საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, საქართველოს რელიეფი, მეტეოროლოგიური პირობები და გარემოზე მაღალი ანთროპოგენური ზეწოლა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბუნებრივი კატასტროფების, მათ შორის გვალვის, განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, კლიმატის ცვლილების ფონზე, ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და ინტენსივობა, გვალვის ჩათვლით, იზრდება. არიდობის გამოწვევი ბუნებრივი ფაქტორები ყოველწლიურად ინტენსიურდება. გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩაჩრო კონვენციის (UNFCCC) მიმახთ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეგყობინების თანახმად, კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების, მათ შორის გვალვების, სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია მთელი ქვეყნის მასშტაბით. გლობალური დათბობის კონტექსტში, გაუდაბნობასთან ბიძობის მოქმედებათა მეოხე ეროვნული პიროგამა ასევე აღნიშნავს არიდობა-

3 Ting Tang, Jenan Irshaid, Matthew Lewis, Paula Abarca del Rio, ..., Piero Visconti, Taher Kahil, A review of state-of-the-art knowledge on the relationship between ecosystem degradation and drought, IASA deliverable under IUCN project "Restoring Ecosystems to Reduce Drought Risk and Increase Resilience", 2021

ციის აშკარა ზრდას საქართველოს არიდულ და სემიარიდულ ზონებში (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N742 დადგენილება).

გარდა ამისა, **საქართველოს მეოთხე ეხოვნული შეგყობინების თანახმად**, თანმიმდევრულად მშრალი დღეების (CDD) ინდექსის ცვლილება ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთში მიუთითებს იმაზე, რომ უნაღვეო პერიოდების ხანგრძლივობა იზრდება ქვეყანაში, განსაკუთრებით, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის (UNCCD) თანახმად, მიწის დეგრადაცია აჩქარებს კლიმატის ცვლილებას და ბიომრავალფეროვნების დაკარგვას, ხელს უწყობს გვალვებს, ტყის ხანძრებსა თუ მიგრაციულ ტენდენციებს.

საქართველოში გაუდაბნობა/მიწის დეგრადაცია დაკავშირებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან. **გადაჭახებულ დოვება, ცყის ფაქტობების შემცირება, ახამდგხადი სასოფლო-სამეუხნეო ჰაქეტიკა და გეჰიგოჰიების ახაჰაციონადუჰი ათვისება უხბანული განვითაჰების მიზნით განსაზღვრულია ჰოგოჰც მიწის დეგჰადაციის გამომწვევი მთავაჰი ფაქტოჰები.**

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების, წყალდიდობისა და გვალვის რისკების შემცირებაზე. გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის (UNCCD) თანახმად, მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების შემუშავებისას, საქართველომ დაადგინა მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ხუთი ნებაყოფლობითი ეროვნული მიზანი. წარმოდგენილი კვლევა პირდაპირ კავშირშია მათგან ორი მიზნის განხორციელებასთან: მიზანი 1: მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) პრინციპების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიებისა და დაგეგმვის დოკუმენტებში და მიზანი 4: დეგრადირებული მიწების რეაბილიტაცია. გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციისა (UNCCD) და გლობალური მექანიზმის მიერ ჩამოყალიბებული გლობალური მხარდაჭერის პროგრამის (GSP) მიზანია, დაეხმაროს ქვეყნებს ეროვნული მიზნების დასახვაში მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) მისაღწევად. საქართველო ზემოაღნიშნული გლობალური პროგრამის ნაწილია. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეოჰე ეხოვნული ჰოგჰამა (2014-2022) განსაზღვრავს ეროვნულ მიზნებს და წარადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა შესრულდეს 2022 წლამდე. საქართველოს ეროვნული კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის

(2017-20) მიზანია, „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 66. დოკუმენტი გამოვლენილი ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფის რისკების იდენტიფიცირება, მათი პოტენციური შედეგების შემცირება და რეაგირების ღონისძიებათა მუდმივი მზადყოფნა და კოორდინაცია“.

მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების შესაბამისად (მიზანი N15 – დედამიწის ეკოსისტემები), საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების მიხედვით, დეგრადირებული მიწის წილი, ქვეყნის მთლიან ფართობთან მიმართებით, არ უნდა აჭარბებდეს 2015 წლის საბაზისო მონაცემს, რაც შეადგენდა 6%-ს – 4071 კვ.კმ-ს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ეროვნული დონის სამიზნეების ჩამოყალიბების პროცესში, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და წარმოების მოცულობა 2030 წლისთვის. ამისთვის უნდა განხორციელდეს ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების შექმნასა და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას (მიზანი 2, ამოცანები: 2,3; 2,4; 2,5 და 2ა). ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადაიდგას ნაბიჯები მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

წინამდებარე კვლევა – გვალვა და გვალვის მართვა საქართველოში – წარმოადგენს გლობალური პროექტის „ეკოსისტემების აღდგენის ხედვითი გვალვის რისკის შემცირებისათვის“ ნაწილს. პროექტს ახორციელებს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) და მისი ფინანსური მხარდაჭერია ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA). მიმოხილვა ავსებს გლობალურ კვლევას „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები გვალვის შესამცირებლად“, რომელიც ჩაატარა გამოყენებითი სისტემების ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IIASA) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN). ის გამოყენებული იქნება ეროვნული დიალოგისთვის ადგილობრივი კონტექსტის უზრუნველსაყოფად და დაგვეხმარება გვალვისთვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გლობალური მიმოხილვის რეგულაციური დემონსტრირებაში.

პოლიტიკის მიმოხილვის შედეგები კარგი საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველოში შემდგომი ინტერვენციებისთვის/მოქმედებებისთვის. პოლიტიკის მიმოხილვის საფუძველზე დაიგეგმება და განხორციელდება პოლიტიკაზე ზეგავლენის მომხდენი ქმედებები გვალვისა და ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (Nbs) დღის წესრიგში პირველ ადგილზე დაყენების კონტექსტში. დოკუმენტი ასევე გამოიყენება გვალვაზე რეაგირების არსებული მექანიზმის გასაძლიერებლად. დაბოლოს, მიმოხილვის შედეგები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე მასშტაბის საპილო-

ტე ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ეკოსისტემების აღდგენას გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გვალვის განმარტებები

გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენცია (გაეროს გენერალური სამდივნო, 1994) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) გვალვას განსაზღვრავს, როგორც: „ბუნებრივ მოვლენას, ხომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც ნაღველი მნიშვნელოვნად დაბადია ნოჩმადღუ დაფიქსიებუდ ღონებზე, ხაც იწვევს სეხიოზუდ ჰიდროლოგიუხ დისბალანსს და უახყოფითად მოქმედებს მიწის ხესუხსებზე დაფუძნებუდ დახგებზე“.

გარდა ამისა, არსებობს სხვა განმარტებები, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ავტორის მიერ:

- ◆ მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO, 1986): გვალვა ნიშნავს ნაღველების თანმიმდევრულ ხანგრძლივ დეფიციტს.
- ◆ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO, 1983): გვალვის რისკი იმ წლების პროცენტულობაა, როდესაც მოსავალი ზიანდება ტენიანობის ნაკლებობით.
- ◆ კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფი (IPCC): გვალვა არის კლიმატური ანომალია, რომელიც დგება მაშინ, როდესაც მშრალი ამინდი ხანგრძლივდება, რაც იწვევს ჰიდროლოგიურ დისბალანსს.⁴
- ◆ Tallaksen and Van Lanen (2004) & Van Loon (2015): გვალვა არის ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც წყალი ნორმალურზე ნაკლებად ხელმისაწვდომია. ის განმეორებადი მოვლენაა, რომელიც მთელ მსოფლიოში გვხვდება. მისი სივრცით-დროითი მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით.
- ◆ Wilhite and Glantz (1985) & Cook et al. (2018): ფართო განსაზღვრებით გვალვა არის ტენიანობის ანომალური დეფიციტი ნორმის შესაბამის საწყის პირობებთან შედარებით, მაგრამ უფრო ზუსტად კლასიფიცირებულია იმის მიხედვით, თუ სად ხდება ჰიდროლოგიურ ციკლში ეს ტენიანობის ანომალიები.⁵

4 IPCC, 2012: Glossary of terms. In: Managing the Risks of Extreme Events and Disasters to Advance Climate Change Adaptation [Field, C.B., V. Barros, T.F. Stocker, D. Qin, D.J. Dokken, K.L. Ebi, M.D. Mastrandrea, K.J. Mach, G.-K. Plattner, S.K. Allen, M. Tignor, and P.M. Midgley (eds.)]. A Special Report of Working Groups I and II of the Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). Cambridge University Press, Cambridge, UK, and New York, NY, USA, გვ. 555-564.

5 Ting Tang, Jenan Irshaid, Matthew Lewis, Paula Abarca del Rio, ..., Piero Visconti, Taher Kahil, A review of state-of-the-art knowledge on the relationship between ecosystem degradation and drought, IIASA deliverable under IUCN project “Restoring Ecosystems to Reduce Drought Risk and Increase Resilience”, 2021

ეროვნულ პოლიტიკაში/სამართლებრივ დოკუმენტებში (კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგია) გვალვა მოხსენიებულია სხვა ბუნებრივ კატასტროფებს შორის (ტყის ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ეროზია და ა.შ.). ზოგიერთი ბუნებრივი კატასტროფა, როგორცაა ეროზია, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ტყის ხანძარი, წყალდიდობა და ქარის ტიპები განმარტებულია სხვადასხვა სექტორულ კანონში (კანონი ქარსაფარი ზოლის შესახებ, ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესი და ა.შ.), თუმცა გვალვის განსაზღვრებაში ჩავარდნაა. აუცილებელია გვალვის ყველაზე შესაფერისი განმარტების მიღება და მისი ჩამატება ეროვნულ და/ან სექტორულ კანონებში.

რეაგირების მექანიზმები და ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გვალვა განიხილება საქართველოს ერთ-ერთ ეროვნულ საფრთხედ (კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ეროვნული სტრატეგია). ძირითადი უწყება, რომელიც პასუხისმგებელია ბუნებრივი საფრთხეების, მათ შორის, გვალვის მართვისა და რეაგირების სტრატეგიულ დაგეგმვაზე, არის საქართველოს **ეროვნული უსაფრთხოების საბჭო**.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მისაღებად შექმნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სათათბირო ორგანოა. საბჭო ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში მთავარ მაკოორდინირებელ ერთეულს წარმოადგენს. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, საბჭოსთან არსებული, ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათშორისი კომისიის ფარგლებში და შესაბამისი უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, კოორდინაციას უწევს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და გადახედვის/განახლების პროცესს. ის აფასებს ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე არსებულ რისკებს/გამონწვევებს და ერთიანი სამთავრობო

მიდგომის გათვალისწინებით, ახორციელებს სხვადასხვა უწყების პოზიციების შეჯერებას.

ქვეყანაში ეროვნული მასშტაბის კრიზისის ეფექტიანი მართვის კოორდინაციის მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში შექმნილი კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი (დეპარტამენტი) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირებას. ეროვნული სიტუაციური ოთახი არის თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტი, რომელიც ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი კრიზისული ვითარების დროს აქტიურდება და საიდანაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აღნიშნულ ვითარებას მართავს. კრიზისის დროს, ეროვნული სიტუაციური ოთახი ინფორმაციას უწყვეტ რეჟიმში იღებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან, ქვეყანაში, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორებით (ტექნოგენური) გამოწვეული შემთხვევების შესახებ; ის უზრუნველყოფს შემოსული საინფორმაციო ნაკადის ანალიზს და გადაწყვეტილების მიმღებთათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; ის ახდენს უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულების კოორდინაციას. კრიზისების მართვა ხორციელდება ოპერაციების დაგეგმვისა და მართვის სამდონიანი სისტემით, რაც მოიცავს სტრატეგიულ, ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებს.⁶

აღსანიშნავია, რომ კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში (2017-2020) საკმაოდ შეზღუდულად იყო წარმოდგენილი გვალვის პრევენციასა და მართვასთან დაკავშირებული ზომების კოორდინაციისა და მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ახორციელებს.

საგანგებო სიტუაციების მაჩთვის სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დანესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების პრევენციის⁷, შერბილებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას. საგანგებო სიტუაციების, მათ შორის გვალვასთან დაკავშირებული კატასტროფების, დროს ეს სამსახური არის მთავარი მორეაგირე უწყება, რომელიც კოორდინირებას უწევს ყველა სახელმწიფო უწყების საქმიანობას.⁸ ტყის ხანძრებზე რეაგირების პრაქტიკა აჩვენებს, რომ

6 <https://nsc.gov.ge/ka/ეროვნული-სიტუაციური-ოთახი>

7 საგანგებო სიტუაცია – ცალკეულ ტერიტორიებზე ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც გამოწვეულია სტიქიური ან ტექნოგენური უბედურებით ან სხვა კატასტროფით და რომელიც საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

8 წყარო: <https://es.gov.ge/page/257>

ტყის ხანძრის შემთხვევაში ტყის მართვის უწყება დაუყოვნებლივ აცნობებს სსიპ 112-ს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემას და იმავე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩართულობას. არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაცია მოქალაქეებიდან პირდაპირ შედის სსიპ 112-ში. ხანძართან ბრძოლის პროცესში ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA) დამხმარე დაწესებულების როლს ასრულებს ხანძარსა და ღონისძიებებში/ქმედებებში. ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლია ტყის ფონდში ხანძრის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და დეტალური კარტოგრაფიული მონაცემების მიწოდებაში დახმარების აღმოჩენა.⁹

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისი უწყებებისა და დეპარტამენტების ჩათვლით, ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც ჩართულია გვალვის მართვისა და რეაგირების ღონისძიებებში. საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამინისტრო ახორციელებს პროექტებისა და პროგრამების ეკოლოგიური შედეგების შეფასებას, ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას. კერძოდ, აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელია სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“, რომელიც ახდენს მიმდინარე მეტეოროლოგიური, კლიმატური და ჰიდროლოგიური მოვლენების მონიტორინგს. **ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი** ახორციელებს მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ მონიტორინგს, ასევე ადგენს ამინდის და მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო დანიშნულების ჰიდროლოგიურ პროგნოზებს და ამზადებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებებს. დეპარტამენტს აქვს ოპერატიული წვდომა სხვა უწყებების მფლობელობაში არსებული მეტეოროლოგიური რადარების მონაცემებთან, რაც საშუალებას აძლევს, მოახდინოს ნალექების და მათგან გამოწვეული წყალმოვარდნებისა და ნიაღვრების ზემოკლევადიანი, სივრცესა და დროში დეტალიზებული, პროგნოზირება. დეპარტამენტს წვდომა აქვს ასევე სატელეკომუნიკაციო ცენტრის მიერ მიღებულ საერთაშორისო ინფორმაციაზე, რაც გულისხმობს ამინდის პროგნოზის მსოფლიოს მონიწივე ცენტრებიდან სინოპტიკური პროდუქციის ოპერატიულად მიღებისა და ვიზუალიზაციის შესაძლებლობას. ყოველივე ეს დეპარტამენტს ეხმარება ამინდის მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზების შედგენაში.

გვალვის მონიტორინგის სისტემა დეტალური შემუშავების ფაზაზეა, რომელსაც გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომ-

9 პირადი კომუნიკაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილესთან, ქალბატონ ნათია იორდანიშვილთან, 2022 წლის თებერვალი.

ლობის სააგენტოს (SDC) დახმარებით. ამოცანის პირველი ეტაპი – გვალვის საფრთხეების რუკის შემუშავება (ისტორიული, ბოლო 20 წლის განმავლობაში) თითქმის დასრულებულია. მონიტორინგის პროდუქტი – გვალვის კომპოზიტური ინდექსის ყოველთვიური რუკის შემუშავება, ვერიფიკაციის ჩათვლით – დასრულდება 2023 წლის ბოლოს. სისტემა აფიქსირებს კლიმატურ და ჰიდროლოგიურ ტენდენციებს, საზღვრავს გვალვის გაჩენის ან არსებობის ალბათობას, სავარაუდო სიმკაცრეს და მის ზემოქმედებას. სანდო ინფორმაცია, შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით, დროულად უნდა მიეწოდოს წყლისა და მიწის მართვის სამსახურებს, პოლიტიკის შემქმნელებს და საზოგადოებას. ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს დაუცველობის შემცირების, შემარბილებელ ღონისძიებათა გაუმჯობესების და რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებსა თუ სისტემებში რეაგირების უნარის გაზრდის საფუძველი. **მოცემულ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში გვალვის პოლიტიკის/მართვის ეფექტური საკოორდინაციო განყოფილების არსებობას.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩამოაყალიბა დარგთაშორისი კოორდინაციის მექანიზმები, რომლებიც პირდაპირ გვალვას არ ეხება, მაგრამ სადაც გვალვის საკითხები შეიძლება პოტენციურად განხილული იყოს (სატყეო ეროვნული პროგრამის პროცესი, რომელიც შედგება ცხრა სამუშაო ჯგუფისგან (WGs) და პლენარული სხდომისგან, სადაც პროგრამის მანდატით განსაზღვრულია თემატური საკითხების განხილვის მიზნით შეხვედრების ორგანიზება;¹⁰ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო საკონსულტაციო ფუნქციებითა და საქართველოს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული სხვადასხვა თემის განხილვის მანდატით).

დაინტერესებულ მხარეებს შორისაა სხვადასხვა სამინისტრო (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური)), ასევე, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალიტეტები).¹¹

დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ასევე უნდა აღინიშნოს პროექტზე დაფუძნებული კოორდინაციის მექანიზმები. ასეთი მექანიზმი ჩამოყალიბდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) პროექტის – „საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN-ის)

10 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი

11 პროექტმა უნდა განიხილოს კონკრეტულად დმანისის, ყაზბეგის და გურჯაანის ადგილობ-

ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი საძოვრების მდგრად მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სამართლებრივი ბაზის შემუშავება – შემუშავდება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი. ამ კონტექსტში, 2021 წლის ივნისში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, შემუშავდა დარგთაშორისი კოორდინაციის მექანიზმი. სამუშაო ჯგუფის წევრები არიან გარემოს დაცვის სამინისტრო, მოწვეულ შესაბამის სამინისტროებთან ერთად (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი, ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), როგორც პარტნიორები. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) პროექტის კოორდინატორის თქმით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა გადაიხედება და სასურველია სხვა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ჩართულობა.¹²

გვალვის გლობალური პოლიტიკის ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება (მაგ., ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი და ა.შ.), რომლის მხარეც საქართველოა, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.¹³ საქართველო გვალვასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების მხარეა:

- ◆ **გაეხოს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ**¹⁴ (1994). 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციას. 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირე-

რივი ხელისუფლება, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) პროექტის – “საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN-ის) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში.

12 პირადი კომუნიკაცია ქალბატონ ანა რუხაძესთან, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC)

13 საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, N934, 16 ოქტომბერი, 1997 წ.

14 გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ, 1994 წლის 17 ივნისი, პარიზი.

- ბა და 1999 წლის 21 ოქტომბრისთვის საქართველო გახდა გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის მხარე. კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა შეიმუშაონ კონვენციის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიები – მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (NAP) გაუდაბნობასთან ბრძოლის მიზნით. საქართველომ შეიმუშავა და დაამტკიცა გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა ორი ეროვნული პროგრამა (NAP), მეორე ეროვნული პროგრამა მოიცავს 2014-2022 წლებს.
- ◆ **გაეხოს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (UNCBD)¹⁵** (1992 წ., ძალაში შევიდა 1993 წლის ბოლოს). საქართველო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ 1994 წელს შეუერთდა და, შესაბამისად, აღიარა ამ კონვენციის სამი ძირითადი ამოცანა: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება და გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანასწორი განაწილება. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (CBD) თანახმად, მთავრობებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და გააერთიანონ ისინი გარემოსა და განვითარების უფრო ფართო ეროვნულ გეგმებში.
 - ◆ **გაეხითიანებული ეხების ოხგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩაჩრო კონვენცია (UNFCCC)¹⁶** (მოქმედი 1994 წლის 21 მარტიდან), რომლის საბოლოო მიზანია სათბურის აირების კონცენტრაციის სტაბილიზაცია იმ დონეზე, რომელიც თავიდან აცილებს სახიფათო ანთროპოგენურ (ადამიანის მიერ გამოწვეულ) ჩარევას კლიმატის სისტემაში. კონვენციის მხარეებმა უნდა მიიღონ პრევენციული ზომები კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების წინასწარი პროგნოზირებისთვის, თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დასაყვანად და მისი უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.
 - ◆ **გაეხოს კლიმატის ცვლილების ჩაჩრო კონვენციის (UNFCCC) „პარიზის შეთანხმება“¹⁷** (ამოქმედდა 2016 წლის 4 ნოემბერს). პარიზის შეთანხმება იყო პირველი უნივერსალური, იურიდიულად სავალდებულო კლიმატის შეთანხმება, რომლის მიზანია გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვა, მსოფლიოში კლიმატის ცვლილების რისკებისა და შედეგების მნიშვნელოვნად შესამცირებლად. პარიზის შეთანხმების მხარეები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ ეროვნული კლიმატური დაპირებები, იგივე, ქვეყნის მიერ ეროვნულ დონეზე წი-

15 გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992 წ.

16 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩაჩრო კონვენცია (UNFCCC), 1992 წ.

17 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩაჩრო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმება, 2015 წ.

ნასწარ განსაზღვრული წვლილი (INDC), რომელიც, მას შემდეგ რაც ქვეყანა მოახდენს პარიზის შეთანხმების რატიფიკაციას, ხდება სავალდებულო ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC). საქართველომ პარიზის შეთანხმება 2017 წელს დაამტკიცა.

- ◆ **გაეხოს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის**¹⁸ (2015) ადგენს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs). ეს გლობალური მიზნები ემსახურება სიღარიბის აღმოფხვრას, დედამიწის და მისი ბუნებრივი რესურსების დაცვას და თითოეული ადამიანისთვის მშვიდობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფას 2030 წლისთვის.
- ◆ მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) 15 – „დედამიწის ეკოსისტემები“ შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება“. ამოცანა 15.3 უფრო კონკრეტულად მიისწრაფვის მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) მიღწევასკენ. მდგრადი განვითარების სხვა მიზნები (SDG) ასევე (პირდაპირ ან ირიბად) უკავშირდება გვალვის საკითხებს.
- ◆ **კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030**¹⁹ (სენდაის ჩარჩო-პროგრამა) მხარდამხარ მუშაობს გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის სხვა შეთანხმებებთან, მათ შორისაა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმება, ადის-აბების სამოქმედო დღის წესრიგი „დაფინანსება განვითარებისთვის“, ახალი ურბანული დღის წესრიგი და მდგრადი განვითარების მიზნები. **სენდაის ჩარჩო-პროგრამა** დაამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს ჩატარებული კატასტროფის რისკის შემცირების მესამე მსოფლიო კონფერენციის (WCDRR) შემდგომ. იგი მიზნად ისახავს „კატასტროფის რისკის პრევენციასა და შემცირებას, და შესაბამისად, ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირებასა და ადამიანების, ბიზნესის, თემების, ქვეყნებისა და მათი ქონების დაცვას, ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის და კულტურული მდგრადობის გაძლიერებას“.
- ◆ **„20 შედეგი 2020 წლისთვის: ხელშესახები მიღწევები მოქალაქეებისთვის“**²⁰ დამტკიცდა 2017 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის

18 გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, 2015 წ.

19 კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030, რეზოლუცია 69/283, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 3 ივნისს

20 „20 შედეგი 2020 წლისთვის: ხელშესახები მიღწევები მოქალაქეებისთვის“, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი 2017 წ.

სამიტზე (რომელიც გაიმართა 2017 წლის 24 ნოემბერს). სამუშაო გეგმაში დასახულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მისი შერბილების უფრო მეტი მცდელობები, რაც პარტნიორ ქვეყნებს დაეხმარება ეფექტური ეკონომიკის განვითარებასა და ამავე დროს, კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის მიმართ დაუცველობის შემცირებაში. გვალვისა და გვალვის მართვის კონტექსტში დასახულია ორი მიზანი: – გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგმება კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი, ნახშირორჟანგის ნაკლები ემისიის პირობებში ეკონომიკის გაზრდის გზების მოსაძებნად, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების გასაუმჯობესებლად და სათბურის აირების ემისიების შესამცირებლად გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების შესაბამისად (შედეგი 15); – გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება და ადაპტაცია გაუმჯობესდება წყლის რესურსების მართვისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებით, გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული მიზნების დარგობრივ პოლიტიკაში ჩართვით, ჯანსაღი გარემოსდაცვითი მმართველობის შემუშავებით და გაძლიერებით, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებით (შედეგი 16).

ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო გვალვასთან დაკავშირებით

ეროვნული სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს მოქალაქეების უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით, უზრუნველყოფილია *საქართველოს კონსტიტუციით* ²¹, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ყველა ეროვნული და დარგობრივი კანონმდებლობის ძირითად სამართლებრივ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უშუალოდ არ ახსენებს გვალვას, მასში ნათქვამია, რომ ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

21 საქართველოს კონსტიტუცია (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი #786; 24.08.1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>)

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ასოციების შესახებ შეთანხმებას (AA) ევროკავშირთან²². საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციების შესახებ შეთანხმება ადგენს თანამშრომლობის მიზნებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ვადებში (სხვადასხვა ამოცანისა და ქმედების მიხედვით) შემდეგი სფეროებისთვის: (1) გარემოსდაცვითი მმართველობა; (2) ჰაერის ხარისხი; (3) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მართვა (წყლის დეფიციტისა და გვალვების ჩათვლით); (4) ნარჩენების მართვა; (5) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია; (6) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; (7) ქიმიური ნივთიერებების მართვა; და (8) კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები, კერძოდ:

- ◆ კლიმატის ცვლილების (CC) სფეროში თანამშრომლობა მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და ადაპტაციას, ასევე საერთაშორისო დონეზე ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის, შემდეგ სფეროებში: (ა) კლიმატის ცვლილების შერბილება; (ბ) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; (გ) კვოტებით ვაჭრობა ნახშირორჟანგის ემისიებზე; (დ) უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი საადაპტაციო ტექნოლოგიების კვლევა, განვითარება, დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება; (ე) კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია
- ◆ ბიომრავალფეროვნების სფეროში თანამშრომლობა რეგიონულ და გლობალურ დონეზე, ბუნებრივ ან სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემებში ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით; ეკოსისტემების აღდგენა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა ან შემცირება
- ◆ ბუნების დაცვის, მათ შორის, სატყეო მეურნეობის სფეროში მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის უზრუნველყოფის, მისი მდგრადი მართვის მნიშვნელობას და თანამშრომლობენ ტყის საფარის დაცვისა და ტყის ყველანაირი ტიპის მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით
- ◆ თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობისთვის
- ◆ თანამშრომლობა წყლის რესურსების მართვაში

გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში საქართველო იღებს ვალდებულებას, ეტაპობრივად დააახლოს თავისი კანონმდებ-

²² ასოციების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (OJ L 261, 30.8.2014, გვ. 4)

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02014A0830\(02\)-20180601&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02014A0830(02)-20180601&from=EN)

ლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან (ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივები და რეგულაციები).

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) პრიორიტეტები ეროვნულ დონეზე მოქცეულია მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში,²³ რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელების ხელშეწყობას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვას 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის მიხედვით. დოკუმენტი განსაზღვრავს 93 სექტორული მიზნებიდან თითოეულის განხორციელების ვადებს და 200 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მნიშვნელობებს (2030 წლისთვის).

მდგრადი განვითარების მიზანი 15: „დედამიწის ეკოსისტემები“ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციის (UNCCD) განხორციელებისთვის. საქართველოს მიერ ნაციონალიზებული ამოცანა 15.3 იზიარებს გლობალურ ამოცანაში გაცხადებულ სამიზნეს: „ბრძოლა გაუდაბნობის წინააღმდეგ, გაუდაბნობით, გვალვითა თუ წყალდიდობით დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, და მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა მსოფლიოში 2030 წლისთვის“. გარდა ამისა, მდგრადი განვითარების მიზანი 15-ის საქართველოსთვის მისადაგებული რამდენიმე სხვა ამოცანა, ისევე როგორც „კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომები“ (მდგრადი განვითარების მიზანი 13, ამოცანა 13.2) და „ნულოვანი შიმშილი“ (მდგრადი განვითარების მიზანი 2, ამოცანა 2.4) ხელს უწყობს გვალვის შემცირებას და გაუდაბნობასთან ბრძოლას (15.1, 15.2, 15.4, 15.5).

გაეროს კონვენციის გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD) 10-წლიანი სტრატეგიის მოქმედებათა მეოხე ეროვნულ პროგრამაში (NAP) (2014-2022)²⁴ დასახულია სამომავლო ხედვა, რომელიც ეროვნულ დონეზე შეიძლება განისაზღვროს, როგორც „მიწის რესურსების დაცვისა და მათი მდგრადი გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების მიერ, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის (SLM) მეთოდების ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.

სამომავლო ხედვის მისაღწევად დასახულია ეროვნული მიზნები, რომლებიც შეესაბამება გლობალურ სტრატეგიულ მიზნებს.

23 მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი, <https://sdg.gov.ge/text-page/34>

24 გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეოხე ეროვნული პროგრამა (NAP) (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N742 დადგენილება). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2663271?publication=0,geo171446.pdf> (fao.org)

დოკუმენტი ადგენს ეროვნულ ამოცანებს, საიდანაც პირდაპირ ასახავს გვალვასთან დაკავშირებულ საკითხებს: „2020 წლისთვის გადანყვებილების მიმდებარე 40%, ხოლო მოსახლეობის 30% მაინც იქნება ინფორმირებული გაუდაბნობების/მინის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან“ და „2020 წლისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების 50% გააცნობიერებს გაუდაბნობების/მინის დეგრადაციის/ გვალვის პრობლემებს და თავისი ინიციატივების ფარგლებში გაატარებს ღონისძიებებს“. დოკუმენტში განერილია ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მინის რესურსების მდგრად მართვას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას. ის ორიენტირებულია, ასევე, ნიადაგის მიზეზით გამოწვეული გაუდაბნობების პროცესების მონიტორინგის გაფართოებაზე, მოწყვლადი ტერიტორიების იდენტიფიცირებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაზე, გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შემცირება/შერბილება და დეგრადირებული ნიადაგების აღდგენაზე.

2022–2026 წლებისთვის საქართველოს გახემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა²⁵ (NEAP-4) წარმოადგენს ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში, რომელიც მოიცავს ყველა ეროვნულ და დარგობრივ გარემოსდაცვით სტრატეგიულ მიმართულებას. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული ხუთწლიანი პროგრამის რეგულარულად შემუშავება ხდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996 წ.). 2022–2026 წლებისთვის საქართველოს გახემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამაში (NEAP-4) განსაზღვრულია გარემოს დაცვის სფეროში შემდეგი გრძელვადიანი ხედვა: „**ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი ეკოსისტემებისთვის სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით**“. დოკუმენტში ხაზგასმულია გვალვის ნეგატიური ზემოქმედება, კონკრეტულად, მინის რესურსების დაცვისა და ბუნებრივი საფრთხეების რისკის მართვის სექტორებზე. დოკუმენტი დარგობრივ პრიორიტეტებზე დაყრდნობით ადგენს მიზნებსა და ამოცანებს. გვალვასთან, გაუდაბნობასთან ან მინის/ჰაბიტატის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხები უშუალოდ ეხება რამდენიმე სექტორულ პრიორიტეტს და განიხილება შესაბამის მიზნებში, ამოცანებსა და ქმედებებში, როგორცაა წყლის რესურსების დაცვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა, ნარჩენების მართვა, ქიმიური ნივთიერებების მართვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიების მართვა,

25 2022 - 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (საქართველოს მთავრობის #1629 განკარგულება, 07.09.2022. <https://matsne.gov.ge/document/view/5563250?publication=0>)

ტყის მართვა, მიწის რესურსების დაცვა, კლიმატის ცვლილების შერბილება, ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების მართვა და გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“²⁶ განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ადგენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს 2020 წლამდე (გამოიყენება მომდევნო სტრატეგიის შემუშავებამდე). ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელსაც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება, ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. მიუხედავად ამ საკითხის მჭიდრო კავშირისა გვალვასთან, გაუდაბნობასთან ან მიწის დეგრადაციასთან, არცერთი მათგანი არ არის ნახსენები დოკუმენტში.

საქართველოს კანონი გახეიმოს დაცვის შესახებ²⁷ წარმოადგენს ჩარჩო კანონს, რომელიც საფუძვლად უდევს კანონმდებლობას გარემოს დაცვის სფეროში; მიუხედავად ამისა, მასში უშუალოდ არ არის ნახსენები გვალვა და/ან გვალვის მართვა. კანონი განსაზღვრავს ძირითად გარემოსდაცვით პრინციპებს და არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას გარემოს დაცვის სფეროში. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა და მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა (მუხლი 11.). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, სხვათა შორის: გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა და ამ სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებების ორგანიზება და სხვა (მუხლი 13). საზოგადოების ინფორმირების მიზნით, 4 წელიწადში ერთხელ მზადდება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მუხლი 14). კანონი ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს,

26 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ (მთავრობის დადგენილება #400, 17. 06.2014 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855?publication=0> ;

27 საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (#519, 10.12.1996. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>)

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თავიანთი კომპეტენციისა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლებში, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად (მუხლი 50). კანონი ეხება ასევე კლიმატის ცვლილების შესახებ საკითხებს (მუხლი 51).

გვალვის მაღალი ზემოქმედების მიუხედავად, გვალვა არ არის უშუალოდ ნახსენები საქართველოს მიერ დამტკიცებულ სხვა კანონებში, რომლებიც არეგულირებენ მაგ.: **ატმოსფერული ჰაერის დაცვას**²⁸, **ლიცენზიებსა და ნებართვებს**²⁹, **წიაღის საკითხებს**³⁰, **ნარჩენების მართვას**³¹, **სივრცის დაგეგმარებას, არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობას**³². გვალვა უშუალოდ არ არის ნახსენები ასევე საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში³³.

გვალვასთან/მინის დებრადაციასთან დაკავშირებული დარგობრივი კანონები და პოლიტიკა

გვალვით ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები

სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის დღემდე ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად რჩება. სამწუხაროდ წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მნიშვნელოვნად შემცირდა და 2021 წელს 5% შეადგინა.³⁴ მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა მაინც აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ქვეყნის მოსახლეობის სოციოეკონომიკურ ცხოვრებაში. ამჟამად საქართველოს ხელისუფლების ინიციატივები მიმართულია სოფლის მე-

28 საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (#2116, 22.06.1999, <https://matsne.gov.ge/document/view/16210?publication=21>)

29 საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (#1175, 24.06.2005, <https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=91>)

30 საქართველოს კანონი წიაღის შესახებ (#242, 17.05.1996, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33040>)

31 საქართველოს კანონი – ნარჩენების მართვის კოდექსი (2994– რს, 26.12.2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11>)

32 საქართველოს კანონი – სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი (3213 – რს, 20.07.2018, <https://matsne.gov.ge/document/view/4276845?publication=10>)

33 საქართველოს კანონი – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (#890-II ს, 01.06.2017, <https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=8>)

34 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

ურნეობის წილის დაახლოებით 4%-იანი წლიური ზრდისკენ, რაც შეადგენს 5,5%-6%-იან საერთო ეკონომიკურ ზრდას წელიწადში.³⁵ სოფლის მეურნეობა დასაქმების თვალსაზრისითაც საკმაოდ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს – საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული³⁶.

საქართველოს მიწისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრის მოყვანის საშუალებას იძლევა. ქვეყნის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, 2004 წლის მდგომარეობით, შეადგენდა 30,3 ათასი კმ²-ს (საქართველოს მთლიანი ფართობის 43,4%).³⁷ ერთწლიანი კულტურებიდან საქართველოში ძირითადად მარცვლოვნები (მაგ., სიმინდი, ხორბალი, ქერი) მოჰყავთ. სხვადასხვა მონაცემით, 2014 წლის მდგომარეობით,³⁸ აღნიშნული კულტურები ყოველწლიურად საშუალოდ 184 100 ჰა-ზე მოჰყავდათ, ხოლო 2019 წლისთვის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელმწიფო პროგრამების ხარჯზე ეს მაჩვენებელი გაიზარდა 207 000 ჰა-მდე. მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო ფართობი 2010-2014 წლებში 127 160 ჰა-ს შეადგენდა, რომელთა შორის ყველაზე დიდი ფართობი ეჭირა ვაზს – მრავალწლიანი კულტურების საერთო ფართობის 41%, ხოლო ვაშლის/ატმის ბაღებს – 14%, თხილის/კაკლის ბაღებს – 15%, ციტრუსებს – 13% და სხვა კურკოვნებს კი – 5%.

აგრარული სექტორი გვალვების გავლენის მხრივ ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ სექტორს წარმოადგენს. გვალვა აღინიშნება ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული ინტენსივობით კი კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის და ზემო იმერეთის რეგიონები გამოირჩევა. გვალვის შედეგად შესაძლებელია მთლიანად განადგურდეს ერთწლიანი (წლის მოსავალი) და მნიშვნელოვნად დაზიანდეს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.³⁹ რისკები ძირითადად დაკავშირებულია საშუალოწლიური ტემპერატურის მატებასთან, ნალექების მოცულობის და ნალექიანი პერიოდების ცვლილებასთან, ასევე ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებთან (გვალვა, წყალმოვარდნა, ქარიშხალი, ძლიერი ქარი). ვეგე-

35 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია (მთავრობის დადგენილება # 32665, 20.12.2019წ. https://www.gov.ge/files/524_74660_648714_2665.pdf <https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/Agriculture-and-Rural-Development-Strategy-of-Georgia-2021%E2%80%932027.pdf>)

36 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022 წ.

37 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 წწ.

38 საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014.

39 საქართველოს მთავრობის დადგენილება N4 საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. 11/01/2017. <https://matsne.gov.ge/document/view/3547798?publication=0>

ტაციის პერიოდში ნალექების მოცულობის ცვლილება უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე და აგრეთვე იწვევს მკაცრი გვალვების სიხშირისა და ხანგრძლივობის მატებასაც, რაც შეიძლება აიხსნას კლიმატის ცვლილებით.

შემცირებული ტენიანობისა და ჰაერის მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით დიდი ზიანი ადგება ნიადაგს, იცვლება ვეგეტაციის პერიოდები, რის გამოც ზარალდება ისეთი დარგები, როგორცაა მეხილეობა, მებოსტნეობა და მემარცვლეობა. ამავე ფაქტორების გავლენით სერიოზულად ზიანდება, ასევე, ბუნებრივი საძოვრები და, შესაბამისად, მეცხოველეობის დარგიც. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება ფერმერების შემოსავლებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მთავრობამ 2019 წელს დაამტკიცა *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია*⁴⁰ და *2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა*⁴¹. სტრატეგია მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული გამოწვევების მოგვარებას და სოფლად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას. დოკუმენტის მიხედვით არსებობს ისეთი ბუნებრივი რესურსების შემცირების პოტენციური საფრთხე, როგორცაა: სახნავი და საძოვარი მიწები, ტყეები, ეკოსისტემები, წყალი (წყლის რესურსების არაეფექტური გამოყენების და სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად დაბინძურების გამო); გარდა ამისა, განიხილება ისეთი საშიშროებები, რომლებიც კავშირშია გვალვით გამოწვეულ საფრთხეებთან, კერძოდ: კლიმატის ცვლილება და გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები; ინვაზიური სახეობების ინტროდუქცია და დაავადებების გავრცელება.

ის ადგენს სამ ეროვნულ მიზანს (შესაბამისი ამოცანებით): კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები (მიზანი 1), ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია (მიზანი 2) და სურსათის/ცხოველის საკვების უზნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები (მიზანი 3). მიზანი 2-ის ფარგლებში დასახული ამოცანები და ქმედებები ეხება გაუდაბნობების საკითხებს, მაგ., გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა (ამო-

40 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია (მთავრობის დადგენილება # 32665, 20.12.2019 წ. https://www.gov.ge/files/524_74660_648714_2665.pdf <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>)

41 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>

ცანა 2.1.); ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება (გატყიანების და აღდგენის ჩათვლით, 300 ჰა 2021-2023 წლებში) (მიზანი 2.3., ქმედება 2.3.2) და ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია (მათ შორის, 407 800 ჰა ტყის მართვის გეგმების მომზადება 2021-2023 წლებში) (მიზანი 2.3., ქმედება 2.3.3.). მიზანი 3 ეხება ნიადაგთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, საქართველოს მიწის ფონდის შესწავლას (ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით) (მიზანი 3.4., ქმედება 3.4.2.).

საქართველოს გახეობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024 მიზნად ისახავს აგრარულ სექტორში მწვავე რისკების შემცირებას. გვალვის საფრთხეებთან უშუალოდ დაკავშირებულია მიზანი 3, ამოცანა 3.3: სხვადასხვა რისკისგან (საგზაფხულო ყინვა, გვალვა...) დაზღვევის პროდუქტის შექმნის შესაძლებლობის გაანალიზება და, იმ შემთხვევაში თუ ეს ობიექტურად შესაძლებელია, სათანადო სადაზღვევო პროდუქტ(ებ)ის შექმნა.

საკანონმდებლო საფუძველი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების და ბიოლოგიური საშუალებების ეფექტური გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარებისთვის სახელმწიფოებრივი მართვის, შენახვის, გამოყენების, გაუვნებელყოფის, განთავსების, და ა.შ. დროს განსაზღვრულია საქართველოს კანონში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ⁴². ქვეყანაში ირიგაციის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია.⁴³ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ნიადაგები და ხელსაყრელი კლიმატური პირობები იძლევა მებაღეობა-მებოსტნეობის უფრო ფართოდ განვითარების საშუალებას და ამის მთავარი წინაპირობაა საირიგაციო სისტემების განვითარება.

სტრატეგიის მიზნებია: ა) იმ კომპლექსური გარემოს აღწერა, რომელშიც მომავალი ათი წლის განმავლობაში განხორციელდება საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; ბ) იმ მიმართულებების განსაზღვრა, რომლებსაც საქართველო უნდა მიჰყვეს წყლის რესურსების მართვაში, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციაში, ფერმერებისთვის საირიგაციო მომსახურების ორგანიზებაში, მართვასა და დაფინანსებაში.

დოკუმენტი პირდაპირ არ ეხება გვალვასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი ითვალისწინებს ქვეყნის საერთო მიზანს – 2025 წლისთვის სარწყავი

42 საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ (#1696, 25.11.1998. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18106?publication=12>)

43 საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017 წელი. <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/13>)

ფართობის 200 000 ჰა-მდე გაზრდა არსებული თვითდინებითი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის შედეგად.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ირიგაციის სფეროში არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი და მელიორაციის დარგს არეგულირებს მხოლოდ ზოგადი კანონები. მაგალითად, 1997 წელს მიღებული „წყლის შესახებ კანონი“ შეიცავს დებულებებს ირიგაციის და სოფლის მეურნეობისთვის წყლის გამოყენების თაობაზე. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ აუცილებელია დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციების შემოტანა, რომლებიც მიემართება მელიორაციასა და წყალმომხმარებელ ორგანიზაციებს – მათ უფლებებს, ვალდებულებებს, დაფუძნებისა და ფუნქციონირების (ლიცენზირება და ა.შ.) დებულებებს.

ტყეებს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. ტყის ფართობის შესახებ მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყოფილი ტყის ფონდის ფართობი 2 700 000 ჰა-ს აღემატება, თუმცა სატელიტური გამოსახულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 44,8% ტყით არის დაფარული (3,5 მილიონ ჰა-ზე მეტი). საქართველოს ტყეები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველოს ტყეების 97% მთიან რელიეფზეა წარმოდგენილი, 3% კი გავრცელებულია ბარში და წარმოდგენილია როგორც ნახევარუდაბნოების არიდული (ნათელი), ასევე კოლხეთის დაბლობის და დასავლეთის ქარბტენიანი ტყეები. საქართველოს ტყეების 95-98% ბუნებრივი წარმოშობისაა. საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი კლიმატური და ბიოფიზიკური პირობები, კოლხეთის რეფუგიუმის არსებობა და სხვა ეკოლოგიური ფაქტორები განაპირობებს ტყეების შემადგენელი სახეობების იშვიათ მრავალფეროვნებას. საქართველოს ტყეებში გავრცელებულია 400-მდე მერქნიანი სახეობა. ენდემური სახეობების დიდი რაოდენობა მიუთითებს დენდროფლორის მრავალფეროვნებაზე. ენდემურ სახეობებს შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, 43 სახეობა კი კავკასიის.⁴⁴ ხელოვნურად გაშენებული ტყეების საერთო ფართობი საქართველოში დაახლოებით 110 000 ჰა-ია. მათი დიდი ნაწილი ახლა 60-70-წლოვან მონოკულტურებს წარმოადგენს, სადაც ხშირად გარემოსთან ნაკლებად ადაპტირებული სახეობებია გამოყენებული (მაგ., შავი ფიჭვი – *Pinus nigra*). ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, ეს მონოკულტურები გაცილებით უფრო ღარიბია, ვიდრე შერეული ტყის კულტურები, სადაც რამდენიმე ადგილობრივი სახეობაა დაფიქსირებული.

საქართველოს ტყეები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში – ქვეყანაში ეკონომიკის მრავალი დარგის (სატყეო სექტორი, სოფლის მეურნეობა, ჰიდრო-

ენერგეტიკა და ტურიზმი) განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ტყის ეკოსისტემის შენარჩუნებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ტყეების მიერ მოწოდებულ ისეთ ეკოსისტემურ სერვისებს, როგორებიცაა სამასალე და საშეშე მერქანი, სასმელი წყალი და არამერქნული პროდუქტები; ნიადაგის დაცვა ეროზიის, ღვარცოფებისა და წყალდიდობებისგან და ა.შ.

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის მიხედვით, „საქართველოს ტყეების მთავარი გამოწვევა დეგრადაციაა, რაც მათი ხარისხისა და მოცულობის შემცირებაში გამოიხატება. ეს ყოველივე, საბოლოოდ, საქართველოს ტყეების მიერ ემისიების შთანთქმის პოტენციალის შემცირებას იწვევს. დეგრადაციის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია ალტერნატიულ ენერგორესურსზე შეზღუდული წვდომის გამო მოსახლეობის დამოკიდებულება შეშაზე, აგრეთვე, გვალვა და ტყის ხანძრები, რაც გახშირებულია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით“.

გვალვების ზემოქმედება ტყის ეკოსისტემებზე გამოიხატება აღმონაცენის შემცირებისა და ტყის რეგენერაციის უნარის დაკარგვაში, მერქნოვანი მცენარეების და განსაკუთრებით ქვეტყის ხმობაში, ტყის მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში, სადაც გვალვა ხშირი მოვლენაა, ტყეები ეკოლოგიურად ადაპტირებულნი არიან წყლის ნაკლებობასთან. ასეთ კლიმატურ პირობებში, როგორც წესი, ტყის ჰაბიტატები წარმოდგენილი არიან გვალვაგამძლე მერქნოვანი სახეობებით, რომლებსაც შედარებით ადვილად შეუძლიათ პერიოდულად განმეორებადი წყლის დეფიციტის პირობების გადატანა. გარდა ამისა, მსგავსი სახეობების უმეტესობა ასევე კარგად არის ადაპტირებული ტყის ხანძრებთანაც, რომლებიც მშრალი კლიმატის პირობებში ხშირი მოვლენაა. შესაბამისად, ასეთ ბიოფიზიკურ პირობებში ევოლუციურად ყალიბდება ტყის ტიპები, რომლებიც ადაპტირებულნი არიან გვალვისადმი და შედარებით მაღალი მდგრადობით გამოირჩევიან.

ამის საპირისპიროდ, ტყეები, რომლებიც გვხვდება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც გვალვა იშვიათი მოვლენაა, შედარებით უფრო მოწყვლადები არიან. წყლის დეფიციტი აღნიშნული ეკოსისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის, რის გამოც ძირითადი თანასაზოგადოებები და ე.წ ფიტოსოციუმის ჩამომყალიბებელი სახეობები ძლიერ სტრესს განიცდიან. ასეთი ტიპის ტყეებისა და მათი ჰაბიტატებისთვის, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გვალვების სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდა განსაკუთრებით საშიშ მოვლენას წარმოადგენს. ასეთ დროს პირველ რიგში ზარალდებიან მოწყვლადი სახეობები, ხოლო ის სახეობები, რომლებიც უკეთესად ადაპტირდებიან ცვლად ბუნებრივ პირობებზე (მათ შორის ინვაზიური და უცხო

სახეობები), უპირატესობას აღწევენ და თანდათანობით იკავებენ სხვა სახეობების ადგილს. შედეგად, დროთა განმავლობაში, მოსალოდნელია ტყის სიმჭიდროვის შემცირება და მისი სტრუქტურის ცვლილება. არ არის გამორიცხული უფრო მძიმე სცენარების განვითარებაც, როდესაც შესაძლებელია ტყის მასივები მთლიანად გაქრეს და/ან ჩანაცვლდეს ნახევრად სტეპის ან სტეპის ეკოსისტემებით.

გვალვების არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგია მწერების პოპულაციების მკვეთრი ზრდა და ტყის ხანძრების რისკების მატება. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ხანგრძლივი და ინტენსიური გვალვების პირობებში ადგილი აქვს მწერების, მათ შორის, ტყის დამაზიანებელი მწერების პოპულაციურ აფეთქებებს⁴⁵. ასე მაგალითად აშშ-ს დასავლეთ სანაპიროზე ხანგრძლივი გვალვების შედეგად ხეების დაღუპვის ძირითად გამომწვევ მიზეზად სწორედ ტყის პარაზიტების უკონტროლო ზრდა ითვლება. გარდა ამისა, წყლის დეფიციტის პირობებში ქვეითდება მცენარეების უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს სხვადასხვა პათოგენური მიკროორგანიზმის ზემოქმედებას, რაც ასევე იწვევს მერქნოვანი მცენარეების დაღუპვას⁴⁶.

ადრე საქართველოში ტყის ხანძრები მასშტაბური არ იყო. ხანძრის გამო ძირითადად წინვოვანი ტყეები ზიანდებოდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში გახშირებული გვალვები მწვავე პრობლემად იქცა. ამჟამად ტყის ხანძარი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ძირითადად ათეულობით ჰექტარზე ვრცელდება. ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ხანძრების შედეგად დაახლოებით 2500 ჰექტარი ტყე განადგურდა, ან სერიოზულად დაზიანდა, ხოლო წლიური ხანძრების შემთხვევების რიცხვი 20-30-დან 70-80-მდე გაიზარდა.

საქართველოს მთიანი ლანდშაფტის გათვალისწინებით, ტყეებს გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემური ფუნქციები. ისინი მოქმედებენ წყლის ხარისხზე და ამცირებენ წყალმოვარდნებისა და მეწყრების რისკს ნალექების ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების გზით. ისინი ხელს უშლიან ნიადაგის ეროზიის განვითარებას, ამცირებენ მეწყრებისა და ზვავების განვითარების რისკს და არბილებენ მათ მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას. ტყეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნახშირბადის გლობალურ ციკლში ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის შთანთქმისა და ტყის ბიომასასა და ნიადაგებში მისი შეკავების გზით. გვალვის ინტენსივობისა და სიხშირის მომატების შემთხვევაში, მოსალოდნელია ტყის ეკოსისტემური სერვისების შემცირება.

საქართველოს ეროვნული ტყის კონცეფცია, ტყის კოდექსი და სხვა სამა-

45 Jactel, H.; Petit, J.; Desperes-Loustau, M.-L. [and others]. 2012. Drought effects on damage by forest insects and pathogens: a meta-analysis. *Global Change Biology*. 18: 267-276.

46 Sturrock, R.N.; Frankel, S.J.; Brown, A.V. [and others]. 2011. Climate change and forest diseases. *Plant Pathology*. 60: 133-149.

რთლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებს დარგის კონკრეტულ მიმართულებებს, შეადგენს სატყეო მეურნეობის სფეროში საქართველოს პოლიტიკისა და სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია 2013⁴⁷, რომელიც მიზნად ისახავს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, განსაზღვრავს ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს. დოკუმენტში უშუალოდ გვალვები ნახსენები არ არის. გვალვისა და გვალვის მართვის კონტექსტში ყველაზე აქტუალურია ორი პრიორიტეტული მიმართულება:

პრიორიტეტული მიმართულება 5.1 – ტყის მართვის დაგეგმვა – მოიცავს დეგრადირებული ტყეების აღდგენისა და ტყით დაუფარავი ფართობების გაშენების, ასევე ტყითსარგებლობის საკითხებს. აქვეა განსაზღვრული შესასრულებელი ქმედებები იმისთვის, რომ ტყის მართვა განხორციელდეს ტყის მართვის განახლებული გეგმებით, რომლებიც შემუშავდება ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპების საფუძველზე.

პრიორიტეტულ მიმართულებაში 5.4 – კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია – აღნიშნულია, რომ „გლობალური დათბობა უკვე ზემოქმედებს საქართველოს კლიმატზე. კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს ტყეებზე. უმოქმედობა ან ამ მოვლენებზე დაგვიანებული რეაგირება ტყის დიდ ფართობებს კატასტროფული დეგრადაციის საფრთხეს შეუქმნის და გამოიწვევს ტყის იმ რესურსებისა და სასარგებლო ფუნქციების მკვეთრ რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემცირებას, რომლებზეც მოსახლეობის დიდი ნაწილია დამოკიდებული“. აქვეა განსაზღვრული შესასრულებელი ქმედებები იმისთვის, რომ შემუშავდეს და განხორციელდეს საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან საქართველოს ტყეების ადაპტაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

საქართველოს ახალი ტყის კოდექსი⁴⁸ დამტკიცდა 2020 წელს. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს ტყეების მართვა ეფუძნება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. ტყის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების და ტყის მართვის ძირითადი მიზნების გათვალისწინებით, საქართველოს ტყეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: დაცული ტყე; დაცვითი ტყე; საკურორტო და სარეკრეაციო ტყე; და სამეურნეო ტყე.

47 საქართველოს პარლამენტის # 1742-1ს დადგენილება “საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის” დამტკიცების შესახებ (26.12.2013 წ.)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2157869?publication=0>

48 საქართველოს ტყის კოდექსი (#5949-სს, 22.05.2020
<https://matsne.gov.ge/document/view/4874066?publication=2>

უშუალოდ გვალვის საკითხები კანონში ნახსენები არ არის, თუმცა კოდექსი ავალდებულებს ტყის მართვის ორგანოს, მონაწილეობა მიიღოს ტყეში სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში (მუხლი 21. პუნქტი ზ) და უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა, ხანძრის საფრთხის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს და ჩაერთოს ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში (მუხლი 21. პუნქტი თ). გარდა ამისა, კოდექსი ტყის მმართველ ორგანოს (ასევე მფლობელს) აძლევს უფლებას, ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი შედეგების შემცირების პრევენციული ღონისძიებების მიზნით, აკრძალოს ტყეში შესვლა და/ან გადაადგილების უფლება (მუხლი 31. ტყეში შესვლა და გადაადგილება), ასევე ხანძრების თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული დროით შეზღუდოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ცეცხლის დანთება (მუხლი 34. ტყეში ცეცხლის დანთება).

კოდექსი ადგენს წესებს ტყით სპეციალური სარგებლობის სახეებზე (კომერციული მიზნით ხეტყის მოპოვება; პლანტაციური მეურნეობის მოწყობა; სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა; თევზის მეურნეობის ან/და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა; ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა; საქონლის ძოვება და ა.შ.). მიუხედავად სატყეო სექტორთან მჭიდრო კავშირისა, კოდექსში არ არის ნახსენები გვალვასთან დაკავშირებული საკითხები.

ტყის კოდექსის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ორი კონკრეტული დებულება, რომელიც გვალვასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. *ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესი*⁴⁹ იძლევა ტყის ნიადაგების დეგრადაციის, მიწისქვეშა ხანძრებისა და გატყიანების განმარტებებს და მიზნად ისახავს საქართველოს ტყეების დაცვას ბუნებრივი (ხანძრების წარმოქმნა-გავრცელება, მავნებლებისა და დაავადებების გავრცელება, ინვაზიური მერქნიანი სახეობების გავრცელება, სანიტარიული მდგომარეობის გაუარესება) და ანთროპოგენური (ტყითსარგებლობის დადგენილი წესების დარღვევები და უკანონო ჩეხა, ტყის ნიადაგის დეგრადაცია და სხვა უარყოფითი ანთროპოგენური ზეგავლენები) ზემოქმედებისგან. გვალვა ნახსენებია დებულების ტყის მოვლის ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ ხანძრის, ქარის, დიდთოვლობის, გვალვის, წყალდიდობის ან სხვა ბიოტური ფაქტორების გავლენით დასუსტებული ან დაზიანებული კორომები ექვემდებარება ტყის პათოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგს. *ტყითსახეობების წესში*⁵⁰ გვალვა უშუალოდ ნახსენები არ არის, მა-

49 საქართველოს მთავრობის №383 დადგენილება, „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე (27.07.2021წ.)
<https://matsne.gov.ge/document/view/5225769?publication=0>

50 საქართველოს მთავრობის №221 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე (2021 წლის 18 მაისი)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5169447?publication=0>

გრამ ის მოიცავს დებულებებს, რომლებიც უკავშირდება გვალვას/გვალვის მართვას და ეხება ტყეებში ნიადაგის დაცვას ცეცხლის დანთების დროს, სატყეო გზების გაყვანას, დასატვირთი მოედნებისა და ხეტყის საწყობების მოწყობას, ასევე პლანტაციური მეურნეობის მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობას. პლანტაციური მეურნეობის მოწყობის და სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობისთვის აუცილებელია ნიადაგის დაცვის ლაბორატორიული კვლევების შედეგების, ნიადაგის დაცვის ღონისძიებების განხორციელების და ნიადაგის მონიტორინგის ორგანიზების მეთოდებისა და ვადების წარდგენა.

გვალვა ზემოქმედებას ახდენს ნიადაგში არსებულ **წყლის** რაოდენობაზე (გამოწვეულია აორთქლების მაჩვენებლის ზრდით) და იწვევს მცენარეებში, ცხოველებში, ადამიანებსა და სხვა ბუნებრივ სისტემებში წყლის დეფიციტს. გვალვას, რომელიც ხასიათდება ნალექების ანომალური სიმცირით, უწოდებენ მეტეოროლოგიურ გვალვას. გარდა ამისა, საუბარი შეიძლება ე.წ. „ჰიდროლოგიურ გვალვაზე“, რომლის დროსაც მდინარეებში, წყალსატევებსა და მიწისქვეშა წყლის რეზერვუარებში არსებული წყლის დონე (მარაგი) მცირდება და საშუალოზე დაბალია. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. „ეკოლოგიური გვალვის“ ცნება, რომლის დროსაც ადგილი აქვს წყლის მარაგების დეფიციტს როგორც ნიადაგში, ასევე წყლის რეზერვუარებში (მდინარეები, ტბები, მარშები, მიწისქვეშა წყლები და ა.შ.), შედეგად წყლის დეფიციტს განიცდის მთელი ეკოსისტემა. *საქართველოს კანონი წყლის შესახებ*⁵¹ წარმოადგენს ქვეყნის ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს **წყლის სექტორისთვის**. კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს წყლის დაცვის, შესწავლის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში (მუხლი 5). ის განსაზღვრავს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში და ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობას წყლის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში (თავი II). კანონი არეგულირებს წყალსარგებლობას (განსაზღვრავს წყლის ობიექტებს, წყალსარგებლობის სახეობებს, წყალმოსარგებლის უფლებებს, წყალმოსარგებლის უფლების შეზღუდვებსა და წყალმოსარგებლის ვალდებულებებს), განსაზღვრავს წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირების საკითხებს და წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვის საკითხებს⁵². მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს დებულებები ეკოლოგიური ნაკადის განსაზღვრის შესახებ. თუმცა, პარლამენტში

51 საქართველოს კანონი წყლის შესახებ (#936, 16.10.1997. <https://matsne.gov.ge/document/view/33448?publication=26>)

52 საქართველოს კანონი წყლის შესახებ (#936, 16.10.1997. <https://matsne.gov.ge/document/view/33448?publication=26>)

დასამტკიცებლად წარდგენილი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონპროექტის მიხედვით, იკრძალება მდინარეებიდან წყლის ამოღება, ჰიდროტექნიკური და სანარმოო ობიექტების მშენებლობა/ექსპლუატაცია, სარწყავი სისტემების მოწყობა/ექსპლუატაცია და სხვა მიზნით წყალაღება მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის გათვალისწინების გარეშე. კანონპროექტის მიხედვით, გარემოსდაცვითი ხარჯი გამოითვლება მეთოდოლოგიით, რომელიც მინისტრის ბრძანებით იქნება მიღებული 2023 წლის ბოლომდე. აღსანიშნავია, რომ წყლის შესახებ არსებულ კანონში გვალვა უშუალოდ ნახსენები არ არის.

მიწის/ნიადაგის სექტორი რეგულირდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამისა და კანონის საფუძველზე. 2015 წელს საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიზნების დასახვის პროგრამაში (LDN TSP). საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (ამჟამად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) წერილი გაუგზავნა გაეროს კონვენციის გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD) მდივანს, სადაც გამოხატა ქვეყნის მზადყოფნა, ჩაერთოს პროგრამაში და დასახოს ეროვნული მიზნები. იდენტიფიცირებულია შემდეგი ხუთი მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) სამიზნე, რომლებიც უნდა მიღწეულ იქნეს 2030 წლამდე:

- ◆ მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) პრინციპების ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და დაგეგმვის დოკუმენტაციასა და კანონმდებლობაში
- ◆ 2030 წლისთვის დაახლოებით 1500 ჰა დეგრადირებული ტყის გატყიანება, დაახლოებით 7500 ჰა ტყის აღდგენა და ტყის 60%-ის მდგრადი მართვა
- ◆ 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების გაზრდა 12%-ით
- ◆ დეგრადირებული მიწის რეაბილიტაცია
- ◆ ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესება⁵³

საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ⁵⁴ ნიადაგის სექტორის მარეგულირებელი ძირითადი კანონია, რომელიც ადგენს შემდეგ მიზნებს: ა) უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება; ბ) განსაზღვროს მინათმოსარგებლეთა, მინათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სანარმოებელი პირობების შესაქმნელად; გ) აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყე-

53 მიწის დეგრადაციის ნეიტრალიტეტის სამიზნეების დადგენის პროგრამა (2018). https://knowledge.unccd.int/sites/default/files/ldn_targets/2018-11/Georgia%20LDN%20TSP%20Country%20Report.pdf

54 საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (#490, 12.05.1994). <https://matsne.gov.ge/document/view/93874?publication=9>

ნებისას უარყოფითი შედეგები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის თვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას; დ) უზრუნველყოფის სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება; ე) მელიორირებული მიწებიდან უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღების მიზნით ხელი შეუწყოს მელიორაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციას.

კანონში განსაზღვრულია ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და საშუალებები, ნიადაგის დაცვის მიზნით დანესებული აკრძალვები, კანონში გაწერილია ნიადაგის დაცვის სფეროში მართვის ორგანოების ამოცანები, რაც მოიცავს ნიადაგის დაცვის კონცეფციის და პროგრამების შემუშავებას, ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

ნიადაგის დაცვის შესახებ ზოგადი კანონის გარდა, საქართველომ ნიადაგის საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე კონკრეტული კანონიც დაამტკიცა. ნიადაგის კონსერვაციისა და აღდგენის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ⁵⁵, რომელიც განსაზღვრავს ზომებს და საშუალებებს ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით, ადგენს შეზღუდვებს და აკრძალვებს, მათ შორის, ყოველგვარი მოქმედების, რომელიც გააუარესებს ნიადაგების თვისებებს, შექმნის გაუდაბნოების, დაჭაობების, დამლაშების, გაბიცობების, გამჟავიანებისა და სხვა უარყოფითი პროცესების დაწყების პირობებს.

ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების მართვა ხორციელდება ამავე დასახელების სპეციალური სახელმწიფო პროგრამით⁵⁶. ის საკმაოდ ზოგადია და არ განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს და ვადებს. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგადი მართვის შესახებ⁵⁷. ამ კანონის მიზანია მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის, მიზნობრივი გამოყენებისა და სახელმწიფო მონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. არცერთ ამ დოკუმენტში გვალვა არ არის უშუალოდ ნახსენები.

55 საქართველოს კანონი **ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ** (#2260, 08.05.2003. <https://matsne.gov.ge/document/view/14938?publication=9>)

56 ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამა (სამინისტროს ბრძანება #2-93, 05.05.2014წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2319475?publication=0>)

57 საქართველოს კანონი **მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგადი მართვის შესახებ** (#4849-II ს, 25.06.2019წ. <https://matsne.gov.ge/document/view/4596113?publication=0>)

ქარსაფართან დაკავშირებული კანონმდებლობა ქვეყნის ნიადაგის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ კუთხით საქართველომ დაამტკიცა კანონი ქაჩსაფაჩი (მინდოხდაცვითი) ზოდის შესახებ⁵⁸. კანონის მიზანია, ქარსაფართი ზოდის სამართლებრივი სტატუსისა და მართვის ღონისძიებების განსაზღვრით ხელი შეუწყოს ნიადაგის ქარისმიერი ეროზიისგან დაცვას და მისი ნაყოფიერების შენარჩუნებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამისი ნიადაგური და მიკროკლიმატური გარემოს უზრუნველყოფას და ამ კულტურების გაბატონებული ქარებისგან დაცვას, აგრეთვე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. გარდა ამისა, შემუშავებულია ქაჩსაფაჩი (მინდოხდაცვითი) ზოდების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა⁵⁹, რომლის მიზანია საქართველოში არსებული ქარსაფართი ზოდების იდენტიფიცირება, ინვენტარიზაცია და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფართი ზოდის ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრაცია. ისევე როგორც ნიადაგთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ-პოლიტიკურ დოკუმენტებში, ქარსაცავ ზოდთან დაკავშირებული კანონმდებლობაშიც გვალვა უშუალოდ არ არის ნახსენები.

საქართველოში **გუჩიზმის სექციი** წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და საკვანძო ეკონომიკურ სექტორს, რომელიც მშპ-ს 23%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება განსაკუთრებით მძიმედ დააზარალებს საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების სექტორებს როგორც მთიან რეგიონებში, ასევე ქვეყნის სანაპირო ზოლზე. ძირითადად პოპულარულია აგრო- და ეკოტურიზმი, რომლებიც მარაგდება ადგილობრივი კვების პროდუქტებით⁶⁰. მათზე კი განსაკუთრებით მძიმე იქნება გვალვის ზემოქმედება, რადგანაც აგრო- და ეკოტურიზმში დომინირებს მცირე აგროფერმები და სასტუმრო სახლები და ისინი დამოკიდებული არიან ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივ საკვებზე, წყალსა და გარემოზე. გვალვის შედეგია მოსავლიანობისა და სარწყავი და სასმელი წყლის შემცირება. შედეგად ასეთი ტურისტული ობიექტები იძულებულნი ხდებიან მიიღონ ნაკლები ტურისტი ან შეიძინონ შესაბამისი წყალი და პროდუქტები სხვაგან, რაც ინვესს მაღალ ეკონომიკურ ზარალს.

საქართველოში შეინიშნება ეკოტურიზმისა და ბუნების დაცვის აქტივისტების რაოდენობისა და აქტიურობის ზრდა, შედეგად კი სულ უფრო მეტი ბიზნესი „მწვანდება“. ეს, თავის მხრივ, შესაბამისად აისახა საქართველოს ტურიზმის

58 საქართველოს კანონი ქაჩსაფაჩი (მინდოხდაცვითი) ზოდის შესახებ (#967-VI მს -X მპ, 01.11.2021წ. <https://matsne.gov.ge/document/view/5270736?publication=0>)

59 ქაჩსაფაჩი (მინდოხდაცვითი) ზოდების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა (#286, 16.06.2021წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5192433?publication=0>)

60 <https://gnta.ge/ge/publication/%e1%83%9b%e1%83%ac%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%94-%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%96%e1%83%9b%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a/>

განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში 2025, რომელშიც უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მაღალხარისხიან ტურიზმს, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას და ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტად ცხადდება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია „ელკანას“ და ასევე საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მომუშავე ბუნების დაცვის ორგანიზაციების მიერ თითქმის 15-წლიანი მუშაობის შედეგად ამ მიმართულებით სოფლად ტურიზმის სექტორში უამრავი წინგადადგმული ნაბიჯია. კლიმატის ცვლილების უარყოფითი ასპექტები გავლენას მოახდენს ადგილობრივი მწვანე ფერმების პროდუქტიულობაზე, ისევე როგორც ნებისმიერ ქვესექტორზე მთელი ტურისტული ღირებულების ჯაჭვში.

გვალვასთან არაპირდაპირ დაკავშირებული სექტორები

წინამდებარე ქვეთავი შეიცავს ინფორმაციას იმ სექტორების პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ, რომლებიც ირიბად უკავშირდება გვალვას. მათ შორისაა ენერგეტიკა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და დაცული ტერიტორიები, ჯანდაცვის სექტორი.

ენერგეტიკის სექტორში საქართველომ დაამტკიცა შემდეგი ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები: *საქართველოს ენერგეტიკის დახეობის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები*,⁶¹ რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას, ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტების გათვალისწინებას (მუხლი 2, თ); და *საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019-2020)*⁶², რომლის მიზანია ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია და შემცირება ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენართან შედარებით, მათ შორის, ენერგოდაზოგვის მიზნების განსაზღვრა სათბურის აირების ემისიების შესამცირებლად, პარიზის შეთანხმების მიმართ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესაბამისად. არცერთ ზემოხსენებულ სტრატეგიულ დოკუმენტში გვალვა ნახსენები არ არის.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა⁶³ (NBSAP-2) მიმოიხილავს საქართველოს ბიომრავალფეროვნებას და ადგენს ქვეყნის ბი-

61 საქართველოს პარლამენტის დადგენილება #3758-II ს, საქართველოს ენერგეტიკის დახეობის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე (24/06/2015 წ. <https://matsne.gov.ge/document/view/2894951?publication=0>)

62 საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019-2020). <https://bit.ly/3LcnDT0>

63 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა (მთავრობის დადგენილება #343. 08.05.2014. <https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nbsap-v2-en.pdf>)

ომრავალფეროვნების დაცვის ხედვასა და ეროვნულ მიზნებს. ეროვნული მიზნები ხელს უწყობს აიჩის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნების განხორციელებას და ზოგიერთი მათგანი შესაბამისი ამოცანებითა და ქმედებებით ასახავს/პასუხობს გაუდაბნოების საკითხებს. გამოკვეთილია სამი ეროვნული სამიზნე, რომელსაც პირდაპირი წვლილის შეტანა შეუძლია აიჩის მიზანი 15-ის მიღწევაში, რომელიც ნაწილობრივ ეხება გაუდაბნობასთან ბრძოლას.⁶⁴ ეს ეროვნული სამიზნეებია: B.4. – აგრარული ეკოსისტემების და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვისა და კონსერვაციის გაუმჯობესება; C.4. – დაცული ტერიტორიების ფართობების გაზრდა და ეფექტური მართვა; D.2 – ბიომრავალფეროვნების მიმართ კლიმატის ცვლილების პოტენციური ზეგავლენის შეფასება და ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება. ზოგიერთი სხვა ეროვნული სამიზნის ფარგლებში მოცემული რიგი ამოცანები და ქმედებები პირდაპირ ან ირიბად ასევე ხელს უწყობს გაუდაბნოებისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლას.

დაცული ტერიტორიების კონტექსტში საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ⁶⁵ და საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა⁶⁶ ძირითადი სამართლებრივი/პოლიტიკის დოკუმენტებია. *სტრატეგია და სამოქმედო გეგმა* წარმოადგენს საქართველოს დაცული ტერიტორიების 2018-2030 წლების განვითარების სტრატეგიას და 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმას. ეს არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს დაცული ტერიტორიების სისტემის შემდგომ განვითარებას, დაცული ტერიტორიების ეფექტური ქსელის ჩამოყალიბებას, არსებული გლობალური და ლოკალური პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევის და მართვის ხარისხის ამაღლებას.

2030 წლისთვის სტრატეგიულ ხედვაში აღწერილი მდგომარეობის მისაღწევად დასახულია 7 მიზანი, თითოეული მათგანის მისაღწევად კი შესასრულებელია შესაბამისი ამოცანები. სტრატეგია ადგენს 7 მიზანს 2030 წლისთვის მისაღწევ შესაბამის ამოცანებთან, როგორცაა დაცული ტერიტორიების ერთიანი ეფექტიანი ქსელის ჩამოყალიბება (მიზანი 1), დაცული ტერიტორიების სისტემისა და ცალკეული დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება (მიზანი 2), ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი

64 აიჩის (ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის) მიზანი 15: “2020 წლისთვის, ეკოსისტემის მოქნილობა და ბიომრავალფეროვნების წვლილი ნახშირბადის აკუმულაციისათვის გაუმჯობესებულია ბუნების კონსერვაციისა და აღდგენის მეშვეობით, რომელიც მოიცავს დეგრადირებული ეკოსისტემების მინიმუმ 15 პროცენტს, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების გავლენის შერბილებას, ადაპტაციას და გაუდაბნობასთან ბრძოლას”.

65 საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (#136. 07.03.1996. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=20>)

66 საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (მინისტრის ბრძანება #2-4; 04.01.2019. <https://matsne.gov.ge/document/view/4361355?publication=0>)

კონსერვაცია – სახეობებისა და ჰაბიტატების შენარჩუნება და საჭიროები-სამებრ აღდგენა (მიზანი 3), ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ადგი-ლობრივი მოსახლეობისთვის (მიზანი 4). კონკრეტული ქმედებები 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის მიზნებით არის განსაზღვრული. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ⁶⁷ მიზნად ისახავს საქა-რთველოს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვას, კატეგორიების შერჩევას, დაცული ტერიტორიის დაარსებასა და ფუნქცი-ონირებას. კანონი ითვალისწინებს ზოგად დებულებებს დაცულ ტერიტო-რიებზე საქმიანობის შესახებ (მუხლი 20). ცალკეული დაცული ტერიტორიე-ბის საქმიანობის დებულებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მართვის გეგმებით ან დროებითი რეგულირების წე-სებით. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყეები რეგულირდება ტყის კო-დექსით და ტყის მართვის შესახებ სხვა კანონქვემდებარე აქტებით (იხ. ტყესთან დაკავშირებული თავი). ტყის მართვის გეგმები (მათ შორის ისინი, რომელიც მოიცავს ტყის დაცვის, აღდგენის, ხანძარსა და ა.შ. საკითხებს) შემუშავებულია ცალკეული დაცული ტერიტორიებისთვის. გეგ-მებს ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. ასევე შემუშავებულია საძოვრების მართვის გეგმები რამდენი-მე დაცული ტერიტორიისთვის. დაცული ტერიტორიების კონტექსტში ასევე უნდა აღინიშნოს *ზუხმუხგის ქსელი*⁶⁸ (სპეციალური კონსერვაციული მნიშ-ვნელობის მქონე ტერიტორიების ქსელი). საქართველო ბერნის კონვენცი-ის მხარეა 2009 წლიდან. დღეისათვის საქართველოში სულ შერჩეულია 66 ზურმუხტის ტერიტორია, მათგან 46 ტერიტორია დამტკიცებულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ, 4 კანდიდატია და 16 შეთა-ვაზებული ტერიტორიაა.

მიუხედავად იმისა, რომ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული სამა-რთლებრივი და/ან პოლიტიკის დოკუმენტები ზოგიერთ ეროვნულ მიზნებ-ში, შესაბამის ამოცანებსა და ქმედებებში ირიბად ეხება გვალვასთან, გა-უდაბნობასთან ან მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ დოკუმენტებში გვალვა უშუალოდ ნახსენები არ არის.

ჯანდაცვის სექტორში არსებობს *კონცეპტუალური დოკუმენტი*,⁶⁹ რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხედვას და მიზნად ისახავს, სხვათა შორის, ჯანმრთელი გარემოს საკითხებთან მიმა-რთებაში, უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმებისა და სამოქმედ-

67 საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (#136. 07.03.1996. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=20>)

68 საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021 წელი

69 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფ-ცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ (მთავრობის დადგენილება #724, 26.12.2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250?publication=0>)

დო გეგმების შემუშავებას, ისევე როგორც გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საქართველოს გახეშვისა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2)⁷⁰ ადგენს ძირითად პრინციპებს მჭიდრო მულტიდისციპლინური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, რათა პრიორიტეტული იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში და ამით განხორციელდეს ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული საქართველოს მოსახლეობის უფლება – იცხოვროს უსაფრთხო გარემოში. დოკუმენტი განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ ამოცანას შესაბამისი სტრატეგიული ინტერვენციებით. დოკუმენტში უშუალოდ არ არის ნახსენები გვალვა, ის არც პირდაპირ ეხება/ასახავს გვალვასთან/გაუდაბნობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ სტრატეგიული ამოცანა 1 (უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება) და ამოცანა 5 (ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრირება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების პოლიტიკაში) მათ არაპირდაპირ ეხება. ზემოაღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების გარდა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი⁷¹ ადგენს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა შედის ჯანდაცვის სამსახურის კომპეტენციაში. გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს, რომ სტიქიური უბედურების და ტექნოგენური კატასტროფების დროს მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა, თუმცა აქაც გვალვა უშუალოდ ნახსენები არ არის. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში⁷² ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა გამოკვეთილია როგორც ერთ-ერთი მიზანი და განსაზღვრულია დებულებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოსა და უსაფრთხო წყლის უზრუნველყოფისთვის. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ საცხოვრებელ ან რეგულარულად ყოფნის ტერიტორიებზე გარემოს ხარისხი არ იყოს საზიანო პირთა ჯანმრთელობისთვის და არ აღემატებოდეს დასაშვებ ზღვრებს.

მიუხედავად იმისა, რომ გვალვა ძლიერ ზემოქმედებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ამ სექტორში შემუშავებული და დამტკიცებული არცერთი სტრატეგიული, პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი არ ითვალისწინებს რეგულაციებს ჯანდაცვის სექტორში გვალვის მართვის შესახებ.

70 საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2) (საქართველოს მთავრობის #680 განკარგულება, 29.12.2018. <https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=951a795c-ab20-4bdd-8f32-57959e3e1728>)

71 საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (#1139, 10.12.1997წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46>).

72 საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (#5069, 27.06.2007. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=37>).

სამართლებრივ/პოლიტიკის დოკუმენტებში ასახული რეაგირების მექანიზმები

გვალვასთან დაკავშირებული რეაგირების ძირითადი მექანიზმები წარმოდგენილია ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, რომლებიც შემუშავებულია კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფის რისკის შემცირების სექტორში.

საქართველომ წარადგინა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)“⁷³ გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) COP 21-ის 1/CP.21 პუნქტის 24-ე გადაწყვეტილების შესაბამისად. განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) მიზანია, მხარი დაუჭიროს ქვეყნის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების თანაბრად გათვალისწინებით. საქართველომ განსაზღვრა 2021 წლის 1 იანვრიდან 2030 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, როგორც ქვეყნის განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (NDC) განხორციელების ვადა:

- ◆ საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შეამციროს.
- ◆ საქართველო იღებს პირობიან ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 50-57%-ით შეამციროს, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას. 50%-იანი შემცირება იქნება საჭირო, თუ მსოფლიო გაჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C-იან სცენარს, ხოლო 1.5°C-მდე ტემპერატურული ზრდის შეზღუდვის სცენარის შემთხვევაში, საჭირო იქნება სათბურის აირების ემისიების 57%-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით.
- ◆ საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) გათვალისწინებით მზადდება კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კლიმატის ცვლილების იმ შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ აღებული როგორც უპირობო, ასევე პირობიანი ვალდებულებების შესრულებასა და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას.

73 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)“, 2021 წელი, https://www4.unfccc.int/sites/ndcstaging/PublishedDocuments/Georgia%20First/NDC%20Georgia_ENG%prov0.pdf

- ◆ საქართველო იღებს ვალდებულებას, განაგრძოს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან მიმართებით ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლა, ასევე, დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებები ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების მობილიზაციის გზით იმ სექტორებისთვის, რომლებიც კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების მიმართ განსაკუთრებული მონყვლადობით გამოირჩევიან.

დოკუმენტში გვალვა უშუალოდ ნახსენები არ არის.

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა⁷⁴ (შემდგომში – „კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ (CSAP), „კლიმატის სამოქმედო გეგმა“ (CAP)) განსაზღვრავს 2030 წლისთვის, საქართველოში კლიმატის ცვლილების შესარბილებლად, სათბურის აირების (GHGs) ემისიების შემცირების მიზნების მიღწევის გზებს, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს განახლებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტში (NDC). კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (CSAP) გრძელვადიანი ხედვა მოიცავს 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების 35%-თ შემცირებას 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით ეკონომიკის ყველა ძირითადი სექტორისთვის, რომელიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებასთან.

2030 წლისთვის გამოცხადებული გრძელვადიანი ხედვის მისაღწევად, კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმასა (CSAP) და კლიმატის სამოქმედო გეგმაში (CAP) განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები და აქტივობები ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ნარჩენების და სატყეო სექტორებისთვის. კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ზედამხედველობა და კოორდინაცია ევალება მაკოორდინირებელ, სათათბირო ორგანოს – კლიმატის ცვლილების უწყებათაშორის საბჭოს (CCC), რომელიც 2020 წელს შეიქმნა საქართველოს მთავრობის მიერ.

კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.⁷⁵ ამ დოკუმენტის ამოცანაა „საქართველოს

74 საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)“, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. 2021 წლის 8 აპრილი

75 საქართველოს მთავრობის დადგენილება №4 საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. 2017 წლის 11 იანვარი <https://matsne.gov.ge/document/view/3547798?publication=0>

საფრთხეების შეფასების 2015-2018 წწ. დოკუმენტში⁷⁶ იდენტიფიცირებული – საქართველოს წინაშე მდგარი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რისკის (წყალდიდობების და წყალმოვარდნების საფრთხე, მენყრულგრაავიტაციული და ღვარცოფული მოვლენების საფრთხე, ბიოლოგიური საფრთხეები, მიწისძვრების საფრთხე, სეტყვის საფრთხე, ზვავების საფრთხე, ძლიერი ქარების საფრთხე, ტყის და ველის ხანძრების საფრთხე, ქიმიური საფრთხეები, წყლისმიერი ეროზიული პროცესების საფრთხე, გვალვის საფრთხე, ჰიდროდინამიკური ავარიების საფრთხე და ა.შ.) შემცირება და შესაძლო ზიანის შემსუბუქება.

სტრატეგიას აქვს 3 დანართი. დანართი 1-ის მიხედვით „...სტრატეგიის მიზანია ერთიანი, მოქნილი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა ერთიანი ძალისხმევით და კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს ქვეყანაში ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას. აღნიშნული სისტემა დაეყრდნობა მთავრობის ერთიან მიდგომას და სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან“.

დანართი 1-ის მე-4 თავში მოცემულია ინფორმაცია საქართველოში არსებული კატასტროფების რისკების შესახებ, სადაც გვალვა განისაზღვრება ქვეყნისთვის ერთ-ერთ ძირითად რისკად. სტრატეგია ითვალისწინებს პრიორიტეტული სფეროების ჩამონათვალს, ასევე პასუხისმგებელ/დამხმარე ორგანიზაციებს, შესრულების ვადებს და დაფინანსების წყაროებს (დანართი 2). გვალვის საკითხებთან დაკავშირებულია შემდეგი პრიორიტეტული სფეროები: ძლიერი ქარების რისკის შემცირება (პრიორიტეტული სფერო 7); ტყის და ველის ხანძრების საფრთხის რისკის შემცირება (პრიორიტეტული სფერო 8) და გვალვის საფრთხის რისკის შემცირება (პრიორიტეტული სფერო 11). გვალვის საფრთხის რისკების შემცირების კონტექსტში სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებს:

- ◆ **გვალვის პეიოლში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩაგახების შესახებ აგრომეტეოროლოგიური ჰეკომენდაციების შემუშავების და მომხმარებლებისთვის (ფეხმეხებისათვის) მიწოდების უზრუნველყოფა (11.1);**
- ◆ **აგრომეტეოროლოგიის სფეროში საგედიგური ინფორმაციის გამოყენების პროგნოზული საშუალებების დანეხგვა (11.2.);**
- ◆ **საგახეჯოში, დელოფრისწყალოში, შიდაში, შიხაქში, უდიანოვკა – მალალოში, ახაშენში, გიოხგეთში, შადაუხში, ქისტაუხში ავტომატური აგრომეტეოროლოგიური სადგუხების შექენა, დამონტაჟება/გამალოთვა (11.3.);**

76 დოკუმენტს ამუშავებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. კონფიდენციალური.

- ◆ **ახლებული სახწყავი სისტემების ჰეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა გვადვიან ჰეგიონებში სასოფლო-სამეუხნეო სავაჰგუდების სახწყავი წყლით უზუნვედყოფის მიზნით (11.4.);**
- ◆ **ზემო სამგოხის სახწყავი სისტემების ჰეაბილიტაცია (11.5.).**

კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ეროვნული სტრატეგიის შემდგომ საქართველომ დაამტკიცა ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონი, მათ შორის საქაჰთვედოს კანონი ეჰოვნული უსაფრთხოების პოდიტიკის დაგეგმვისა და კოოხდინაციის წესის შესახებ,⁷⁷ ხომელიც მიზნად ისახავს ეროვნული უსაფრთხოების სფეროს სამართლებრივ რეგულირებას, საქაჰთვედოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ,⁷⁸ რომელიც განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოების კომპლექსურ ღონისძიებებს და სამოქალაქო უსაფრთხოების ეჰოვნული გეგმა,⁷⁹ რომელიც აწესრიგებს საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ გვალვა განისაზღვრა, როგორც ეროვნული დონის საფრთხე, ეს არცერთ იურიდიულ დოკუმენტში არ არის ნახსენები.

გვალვის/გვალვის მართვის საკითხთა პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის ბარიერები და გამონკვევები

გვალვის/გვალვის მართვის საკითხების პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის ბარიერებისა და გამონკვევების დასადგენად, არსებული პოლიტიკის/სამართლებრივი საფუძვლის მიმოხილვის/ანალიზის და დაინტერესებული მხარეების შეფასებასთან ერთად ჩატარდა ინტერვიუები შესაბამის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (იხ. ბიბლიოგრაფია). ძირითადი დასკვნები შემდეგია:

საქაჰთვედოს კანონმდებლობაში გეჰმინი გვადვა აჰ აჰის განსაზღვრული. გვალვის დეფინიცია აუცილებელია, როგორც თავად ამ მოვლენის და მისი

77 საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, (#3126-II ს, 4.03.2015. <https://matsne.gov.ge/document/view/2764463?publication=11>)

78 საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ (#2608-II ს, 27.06.2018. <https://matsne.gov.ge/document/view/4243170?publication=5>)

79 საქართველოს მთავრობის დადგენილება #508 სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, 24.09.2015წ. <https://matsne.gov.ge/document/view/2993918?publication=0>

ზემოქმედების იდენტიფიცირებისთვის, ასევე გვალვით გამოწვეული ზიანის, ზარალის გაანგარიშებისთვის.

გვალვა ახ ახის შეფასებელი სხვადასხვა სექტორის კონტექსტში. არსებობს გვალვის მხოლოდ ზოგადი შეფასებები სოფლის მეურნეობის სექტორში. არ არის შეფასებული გვალვის გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე (სახეობები, ჰაბიტატები), წყალზე ან სხვა სექტორებზე. შესაბამისად, არც ისე ნათელია, რომელი სექტორები შეიძლება იყოს ყველაზე მეტად დაინტერესებული გვალვასთან დაკავშირებული საკითხებით. დღემდე სხვადასხვა დაწესებულებაში გვალვის შესახებ არსებული ინფორმაცია არ ეყრდნობოდა მონაცემთა შეგროვების დამტკიცებულ სამეცნიერო სისტემას. ადრეული გაფრთხილების სისტემების, მათ შორის შესაბამისი მეტეოროლოგიური სადგურების მოწყობა ახლახან დაიწყო გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, რომელიც შეაგროვებს გვალვასთან დაკავშირებულ მონაცემებს მთელი ქვეყნისთვის.

გვალვისა და სხვადასხვა სექტორზე მისი ზემოქმედების შეფასების სიმნიშვნის გამო, არ არის **კახგად ჩამოყალიბებული გვალვის საინფორმაციო ჩაჩრო, ხომელიც უზრუნველყოფს მონაცემებს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.** ამ კონტექსტში ხაზგასმული უნდა იყოს დაუცველობის შეფასება, განსაკუთრებით, გვალვის ზემოქმედების აღრიცხვა დაუცველ ეკონომიკურ სექტორებზე (სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, გარემო, ენერგეტიკა, ტურიზმი და ჯანდაცვის სექტორები), ასევე უნდა შეფასდეს დაუცველობის მიზეზები, პოტენციური ზიანის ან დანაკარგის ხარისხი ან მასშტაბი, დაძლევის გზები, გვალვის რისკის ქვეშ მყოფი თემების ან სექტორების, მოსახლეობის ჯგუფებისა და ეკოსისტემების ადაპტაციური და სარეაგირო შესაძლებლობები, ამასთან, იდენტიფიცირდეს შესაბამისი და გონივრული შემარბილებელი ღონისძიებები ამ რისკების გადასაქრელად.⁸⁰

გვალვა და მისი ზემოქმედება სათანადოდ ახ ახის ასახული შესაბამის პოლიტიკისა და სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონებში. ის ასახულია გაუდაბნოების კონტექსტში და ამ მოვლენის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში, ძირითადად გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, გაუდაბნობასთან ბრძოლის მეორე ეროვნულ პროგრამაში (2014-2022), მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში და კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში. გვალვა აღიარებულია, როგორც ეროვნული დონის საფრთხე, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2015-2017 წლების ეროვნული საფრთხის შეფასებით (მკაცრად კონფიდენციალური). ამის საფუძველზე შემუშავდა საჯაროდ ხელმისაწვდომი კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) სტრატეგია, რომელიც ასევე მო-

80 წყარო: <https://knowledge.unccd.int/topics/drought-reducing-impacts-and-building-resilience>

იცავს გვალვას, როგორც ეროვნული დონის საფრთხეს. სამართლებრივი/პოლიტიკის დოკუმენტები ძირითადად მოიცავს ზომებს, რომლებიც (პირდაპირ ან ირიბად) მიმართულია გვალვის რისკებისა და ზემოქმედების აღმოფხვრისკენ, მათ შორის, პრევენციული ღონისძიებებისკენ.

ახ ახსებობს ძიხითადი დაინტეგრირებული მხაიების კოორდინაციის პლატფორმა. გვალვის საკითხებზე კოორდინაცია ემყარება ინდივიდუალური შემთხვევებისა და მათი კონკრეტული საჭიროებების მიდგომას. კოორდინაცია აუცილებელია, რადგან გვალვის ზემოქმედება შეიძლება იყოს კომპლექსური და აღნიშნული მოვლენის გამომწვევ მიზეზებს შორის ანთროპოგენური ფაქტორების ფიგურირებდეს, რაც მოითხოვს სხვადასხვა სექტორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას.

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) მნიშვნელობა ფაქტორ ახ ახის ცნობილი დაინტეგრირებულ მხაიებს შორის. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტების თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე, იცნობენ „ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების“ კონცეფციას. აღნიშნა, რომ NbS მიდგომები განიხილება შესაბამის პროგრამებში, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი ტერმინი NbS არ არის გამოყენებული: არსებული NBSAP ეფუძნება ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიდგომას; ეროვნული ტყის კონცეფცია და NEAP-3 მოიცავს ქმედებებს კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პრინციპების საფუძველზე; ახალი ტყის კოდექსი ასევე მოიცავს NbS მიდგომას, მაგ., დაცულ და დაცვით ტყეებს. გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობამ არ იცის, რას ნიშნავს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. თუმცა, მოკლე ახსნა-განმარტების შემდეგ, მათ განაცხადეს, რომ ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მიდგომები შესაბამის დარგობრივ პროგრამებში შედის და ხორციელდება.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უკავშირდება **დაფინანსების ნაკლებობას, შეზღუდულ ადამიანურ და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს**, როგორც პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ასევე განხორციელების კუთხით. კონკრეტულად აღსანიშნია, რომ გვალვის შერბილების/ადაპტაციის ღონისძიებები დაკავშირებულია საკმაოდ მაღალ ხარჯებთან (მაგ., სარწყავი სისტემების მოწყობა გულისხმობს მაღალ დანახარჯებს). ამჟამად ძირითადი დაფინანსება დონორების მხარდაჭერით მოდის.

პოლიტიკის დოკუმენტებში შემახიბილებელი ღონისძიებების ნაკლებობა; კიზისის მახთვაში ძიხითადად გამოიყენება ჰეაქტიური ქმედებები (პროაქტივის ნაცვდად) სხვადასხვა სექტორისა და კონკრეტულ შემთხვევებში.

საწყობის კონცეპტი და რეკომენდაციები პოლიტიკის დაახლოების/ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) პოლიტიკაში ინტეგრაციისთვის გვალვის საკითხებზე

გვალვის საკითხების პოლიტიკის და სამართლებრივ დოკუმენტებში ასახვის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი **ზოგადი საწყობის კონცეპტი და ხეკომენდაციები** პოლიტიკის დაახლოებისა და გვალვასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვაზე:

- ◆ გვალვასთან დაკავშირებული ასპექტების პოლიტიკის დოკუმენტებში ჩართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა, მათ შორის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიდგომების განსაზღვრა და გვალვის შერბილებაში მინის აღდგენითი ღონისძიებების როლი, უნდა ეფუძნებოდეს დეტალურ კვლევას/შეფასებებს. საჭიროა გვალვის, როგორც თავად ბუნებრივი მოვლენის შესწავლა/შეფასება, ასევე მისი კვლევა სხვა ანთროპოგენურ ფაქტორებთან მიმართებაში
- ◆ მიზანშეწონილია შეიქმნას დროებითი ან მუდმივი დარგთაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი/პლატფორმა ინფორმაციისა და გამოცდილების, არსებული და დაგეგმილი მიდგომების გაზიარების მიზნით, თანამშრომლობისთვის და ა.შ.
- ◆ გვალვის აღმოსაფხვრელად კომპლექსური მიდგომა უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა სექტორისა და მათი ურთიერთქმედების, აგრეთვე მინის მფლობელობის საკითხების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს კვლევა და ინფორმაცია სხვადასხვა სექტორზე გვალვის გავლენის შესახებ
- ◆ საჭიროებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, სექტორებმა უნდა განსაზღვრონ გვალვის საკითხების ინტეგრაცია შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში (შემუშავებული სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, რეაგირების გეგმა, პრევენციის გეგმა და ა.შ. ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე). ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკე დოკუმენტი – მაგ., გვალვის სამოქმედო გეგმა, ან ზოგიერთი სხვა სექტორული სტრატეგიულ/დაგეგმარებითი დოკუმენტის ნაწილის სახით (მაგ., კლიმატის ცვლილებასთან ან მინის დეგრადაციასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში ინტეგრაციაც შესაძლოა ასევე იყოს შესწავლილი)
- ◆ მიმდინარეობს მუშაობა საძოვრების მართვის დოკუმენტზე,

რომელიც ირიბად განიხილავს გვალვის საკითხებს (დასრულება იგეგმება 2 წელიწადში). საჭიროა მიწის შესახებ ჩარჩო კანონის შემუშავება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გვალვის საკითხებსაც მოიცავს

- ◆ გვალვისა და გვალვის მართვის ქმედებების ჩართვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კატასტროფის რისკის შემცირების (DDR) განახლებულ სტრატეგიაში, რომელიც შემუშავდება ეროვნული საფრთხეების შეფასების დოკუმენტის გადახედვის საფუძველზე
- ◆ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის მუშაობა უნდა გაძლიერდეს გვალვის მიმართულებით: სამი მუნიციპალიტეტისთვის შემუშავებული მიწის მართვის არსებული გეგმები უნდა შეფასდეს გვალვის და გვალვის მართვის საკითხების კონტექსტში; შესაბამისად უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება მათი დუბლირების აუცილებლობისა და გვალვის საკითხების დასაფარად აუცილებელი ცვლილებების შესახებ
- ◆ გვალვის/გვალვის მართვის ინვესტიციების შეფასება და ხარვეზების გამოვლენა. უნდა შემუშავდეს მიდგომა/მეთოდოლოგია გვალვის მართვასთან დაკავშირებულ ქმედებათა დაფინანსების მიმართულებით

გარდა ამისა, შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები გვალვით ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორებისთვის. **სოფლის მეურნეობის სექტორისთვის** განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ◆ სოფლის მეურნეობაში გვალვის რისკების მართვის გეგმების მომზადება და განხორციელების ხელშეწყობა
- ◆ არსებული მონიტორინგის ქსელის გაფართოება და ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების (მათ შორის ექსტრემალური მოვლენების) რეგულარული მონიტორინგი; აგრომეტეოროლოგიის სფეროში სატელიტური ინფორმაციის გამოყენების დანერგვა
- ◆ ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, მაღალი სიჩქარის ქარი და სხვა) გამონვეული რისკების და მათი გავლენის შეფასება ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე
- ◆ რისკების შეფასების ერთიანი საინფორმაციო ტექნოლოგიური პლატფორმის და მონაცემთა სტანდარტიზაციისთვის საჭირო სამოქმედო პროგრამის/გეგმის შემუშავება
- ◆ საკომუნიკაციო სისტემის შექმნა (ადრეული გაფრთხილება, კრიტიკულ სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება)
- ◆ პროგნოზირებული კლიმატის ცვლილების პირობებში პოტენციური წყალმოთხოვნილებისა და ირიგაციისთვის საჭირო რე-

- ზერვუარების საჭიროების შეფასება; მინისქვეშა წყლის მოხმარების პოტენციალის შეფასება. შედეგების საფუძველზე კერძო სექტორის პოტენციალის შეფასება მინისქვეშა წყლების სარწყავად გამოყენების საკითხზე
- ◆ ირიგაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დასრულება
 - ◆ მიწათსარგებლობის მდგრადი ინსტრუმენტების დანერგვა (მათ შორის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის, გვალვის შერბილების და დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის შესახებ ოპერატიული დოკუმენტები)
 - ◆ შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში საერთო საძოვრების მდგრადი მართვის საფუძვლებისა და პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრის მიზნით; ეკოსისტემებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვის საკითხების რეგიონების სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მუნიციპალიტეტების წლიურ სამოქმედო გეგმებში ინტეგრირების მოდელის შემუშავება
 - ◆ კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მრავალფუნქციური ქარსაფარი ზოლისა და აგროსატყეო ეკოსისტემის (mWAE) შექმნის ხელშეწყობა, მათ შორის, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) მიდგომების გამოყენებით; ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების მიდგომების მხარდაჭერა
 - ◆ გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ამაღლება ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე გაუდაბნოების, მინის დეგრადაციისა და გვალვასთან დაკავშირებულ საკითხებზე
 - ◆ ქალებისთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამების (ტრენინგები, კლიმატის ცვლილებისა და გვალვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მცირე საგრანტო პროგრამები და სხვა) განხორციელება, რადგან ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელიც ჩართულია კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში
 - ◆ ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობის ადაპტაციური მართვის შესახებ (მათ შორის, გვალვის გათვალისწინებით) ინფორმაციის მიწოდება და გვალვის პროცესში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების შესახებ აგრომეტეოროლოგიური რეკომენდაციების შემუშავების და ფერმერებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა

საგყეო სექტორისთვის განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ◆ საფუძვლიანი კვლევითი პროგრამის შექმნა პოლიტიკის შემქმნელებისა და მმართველების სათანადოდ ინფორმირების

მიზნით შემდეგ საკითხებზე: კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ტყეებსა, ტყის რესურსებსა და ეკოსისტემურ სერვისებზე; კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებები

- ◆ კლიმატის ცვლილების (კერძოდ გვალვების) შესაძლო ზემოქმედების შესახებ ეროვნული დოკუმენტის შემუშავება ტყეებზე, ტყის რესურსებსა და ეკოსისტემურ სერვისებზე და შერბილები-სა და ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება
- ◆ გვალვის, ტყის ხანძრის, ქარის, დიდთოვლობის, წყალდიდობის ან სხვა ბიოფაქტორების შედეგად მიყენებული ზიანის შეფასე-ბის, რუკების შედგენისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავე-ბა
- ◆ ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) და კლიმა-ტის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე (მათ შორის, გვალვის საკითხებზე) არსებული რეკომენდაციების ინტეგრირ-რება სექტორულ სტრატეგიებსა და ადგილობრივ გეგმებში
- ◆ გვალვების მართვისა და NbS მიმართულებით სატყეო პოლი-ტიკის შემუშავებელი ორგანოს შესაძლებლობათა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები და ა.შ) ჩატარება

ძირითადი დაინტერესებული მხარეები, პოლიტიკის გავლენა, პოლიტიკის რეფორმის პროცესები და შესაბამისი ბერკეტები ეროვნული მოქმედებისთვის

გვალვის პრობლემა მოითხოვს სხვადასხვა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტის, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფო პარტნიორების ჩართულობას და კოორდინირებულ ქმედებებს. პოლიტიკის გავლენა უნდა მოიცავდეს გვალვისა და გვალვის მართვის ლობირებას და მის დღის წესრიგში დაყენებას დისკუსიების დროს, რაც გამოიწვევს გვალვის/გვალვის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში ჩართვას.

დასკვნები

პოლიტიკის მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტებში გვალვის განმარტება არ არსებობს; ასევე მწირია უახლესი ინფორმაცია გვალვის რისკებისა და ზემოქმედების შესახებ ქვეყანაში, მათ შორის, პოტენციურად დაზარალებული სექტორების შესაბამისი შეფასება. აქამდე გვალვის შესახებ არსებული ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებაში (მაგ., ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სამინისტრო და ა.შ.) არ ეფუძნებოდა მონაცემთა შეგროვების დამტკიცებულ სამეცნიერო სისტემას. ასევე დაფიქსირდა ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია გვალვის ასახვასთან შესაბამის პოლიტიკაში, სტრატეგიულ დოკუმენტებსა და კანონებში, ძირითადი დაინტერესებული მხარეების კოორდინაციის მექანიზმების ნაკლებობასთან ერთად. გვალვა განიხილება მხოლოდ მოსავლისა და ტურიზმის სექტორზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორად; სხვადასხვა ეროვნული დონის სტრატეგიებსა თუ გეგმებში გვალვის საფრთხე წარმოდგენილია როგორც მხოლოდ კლიმატის ცვლილების შედეგად გამომწვეული ექსტრემალური მოვლენების სიხშირისა და ხანგრძლივობის გაზრდის საფრთხე.

„ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების“ (NbS) კონცეფცია და მისი მიდგომები ნაკლებად ცნობილია ძირითადი დაინტერესებული მხარეების ნაწილისთვის. თუმცა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები განიხილება შესაბამის პროგრამებში (მაგ. NBSAP, NEAP-3, ეროვნული ტყის კონცეფცია, ახალი ტყის კოდექსი), რაც სხვადასხვა სექტორში მართვის მიდგომების შესახებ არსებული ცოდნის შედეგია.

ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც დაკავშირებულია როგორც გვალვასთან ასევე ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების პრინციპების გამოყენებასთან, საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო და არასახელმწიფო მოთამაშეების მხარდაჭერა, რათა მოხდეს გლობალური ცოდნის გაზიარება ადგილზე, მათ შორის, შერჩეული მიდგომების პილოტირების გზით.

ბიბლიოგრაფია

- ◆ გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ, 1994 წლის 17 ივნისი, პარიზი
- ◆ გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992 წ.
- ◆ კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია (UNFCCC), 1992 წ.
- ◆ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) „პარიზის შეთანხმება“, 2015 წ.
- ◆ გაეროს დღის წესრიგი 2030, 2015 წ.
- ◆ კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030, რეზოლუცია 69/283, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 3 ივნისს
- ◆ „20 შედეგი 2020 წლისთვის: ხელშესახები მიღწევები მოქალაქეებისთვის“, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი 2017 წ.
- ◆ საქართველოს კონსტიტუცია (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი #786; 24.08.1995 წ.)
- ◆ მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი (2019)
- ◆ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (OJ L 261, 30.8.2014, გვ. 4)
- ◆ გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NAP) (მთავრობის დადგენილება #742, 29.12.2014 წ.)
- ◆ 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (საქართველოს მთავრობის #1629 განკარგულება, 07.09.2022 წ.)
- ◆ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ (მთავრობის დადგენილება #400, 17.06.2014 წ.)
- ◆ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი (3213- რს, 20.07.2018)
- ◆ საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (#519, 10.12.1996 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (#2116, 22.06.1999 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (#1175, 24.06.2005 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი წიაღის შესახებ (#242, 17.05.1996 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ (#890-II ს, 01.06.2017 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსის შესახებ (2994- რს 26.12.2014 წ.)

- ◆ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)“, 2021 წ.
- ◆ საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)“, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. 2021 წლის 8 აპრილი
- ◆ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია (მთავრობის დადგენილება # 32665, 20.12.2019 წ.)
- ◆ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა 2021-2027 წწ.
- ◆ საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ (#1996, 25.11.1998)
- ◆ ეროვნული ტყის კონცეფცია საქართველოსთვის (საქართველოს პარლამენტის #1742-ის დადგენილება, 26. 12. 2013 წ.)
- ◆ საქართველოს ტყის კოდექსი (#5949– სს, 22.05.2020)
- ◆ საქართველოს მთავრობის №383 განკარგულება „ტყის დაცვის, ტყის აღდგენისა და მოვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ (27.07.2021)
- ◆ საქართველოს მთავრობის №221 განკარგულება „ტყითსარგებლობის წესის“ დებულების დამტკიცების შესახებ (2021 წლის 18 მაისი)
- ◆ საქართველოს კანონი წყლის შესახებ (#936, 16.10.1997 წ.)
- ◆ მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიზნების დასახვის პროგრამა (2018)
- ◆ საქართველოს კანონი მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ (#4849-II ს, 25.06.2019 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (#490, 12.05.1994 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ (#2260, 08.05.2003 წ.)
- ◆ ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამა (მინისტრის ბრძანება #2-93, 05.05.2014 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ (#967-VIმს-Xმპ, 02.11.2021)

- ◆ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა (#286, 16.06.2021)
- ◆ საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (საქართველოს პარლამენტის დადგენილება 3758-III, 24/06/2015)
- ◆ საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019-2020 წწ.)
- ◆ საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2014–2020 წწ (მთავრობის დადგენილება #343. 08.05.2014 წ.)
- ◆ საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (მინისტრის ბრძანება #2-4; 04.01.2019 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (#136. 07.03.1996 წ.)
- ◆ საქართველოს მთავრობის #4 დადგენილება საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 11.01.2017 წ.
- ◆ საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, (# 3126-II ს, 4.03.2015 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ (#2608-II ს, 27.06.2018 წ.)
- ◆ საქართველოს მთავრობის დადგენილება #508 სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, 24.09.2015 წ.
- ◆ 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის დოკუმენტი „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ (მთავრობის დადგენილება #724, 26.12.2014 წ.)
- ◆ საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEHAP-2), (საქართველოს მთავრობის #680 განკარგულება, 29.12.2018 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (#1139, 10.12.1997 წ.)
- ◆ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (#5069, 27.06.2007 წ.)

პირადი კომუნიკაციები:

- ◆ ბ-ნი გიორგი მიშველაძე, სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022 წლის 21 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ნინო ჩიქოვანი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის რესურსების დაცვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, 2022 წლის 21 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ეკატერინე ზვიადაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, 2022 წლის 24 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ნონა ხელაია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, 2022 წლის 25 იანვარი.
- ◆ ბ-ნი პაპუნა კაპანაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, 2022 წლის 25 იანვარი.
- ◆ ქ-ნი თეონა ქარჩავა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, 2022 წლის 27 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ლია მეგრელიძე, გარემოს ეროვნული სააგენტოს, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022 წლის 26 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ნატო კუტალაძე, გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022 წლის 27 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ნინო თხილავა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, 2022 წლის 27 იანვარი.
- ◆ ქ-ნი მარინა მაკაროვა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყლის სამმართველოს უფროსი, 2022 წლის 27 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ნათია იორდანიშვილი, საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022 წლის 22 იანვარი.
- ◆ ქ-ნი რუსუდან კახიშვილი, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრის მთავარი მრჩეველი, 2022 წლის 20 იანვარი.
- ◆ ქ-ნი ანა რუხაძე, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC).

